გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2005 წელი.
№177 (5210)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## დროა, დავეშვათ ციდან მიწაზე!




„საქართველოს ეკონომიკას კრახი ემუქრება, ჭეშმარიტება მარტივია — როცა ბიზნესმენი ფიზიკურად დაუცველია, როცა დაუცველია მისი უფლებები საკუთრებაზე, მაშინ მას ქვეყანაში საკეთებელი აღარაფერი რჩება. ეს, თავის მხრივ, აისახება ბიზნესის კლებაზე, უმუშევრობაზე, მცირე შემოსავლებზე და, შესაბამისად, მცირე მოხმარებაზე. სწორედ ეს გახლავთ ეკონომიკის კრახი და მეტი სხვა არაფერი...

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა საქართველოში უკვე დამარხულია. ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. იქ სადაც არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, ძნელია ვიოცნებოთ მაღალ ეკონომიკურ ტემპებზე. ეს ცხადზე უცხადესია.

ხელისუფლება უნდა გადაეჩვიოს ტრაბახსა და ბაქიბუქს. დროა შევწყვიტოთ ზღაპრების მოყოლა მოსახლეობისთვის და სიმართლეს შევხედოთ თვალებში...

დღეს კი მაქვს შეგრძნება, რომ ჩვენში ყველა გადაეჩვია სერიოზულ ფიქრს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ რაღაც სიურეალისტურ გარემოში. ხელისუფლება ხალხს ჩამოშორდა. მან დაიწყო ცხოვრება თავის სამყაროში, ისე როგორც მას წარმოუდგენია. ეს ძალიან საშიშია, რადგან სინამდვილეს მოწყვეტილი ხელისუფლება არაადეკვატური გახდა, რამდენად შეძლებს იგი ამ გზიდან მკვეთრად შემობრუნებას, ვნახოთ.

იხ. მე-2 გვ.

## დაიბრუნებენ კუთვნილ ქონებას ქართველი დევნილები?

იხ. მე-4 გვ.

## ნოდარ ნათაძე:
## ცხინვალში ჩვენი შესვლის შემდეგ რუსების მიერ ორგანიზებული პარტიზანული ომი დაიწყება

იხ. მე-5 გვ.

## ვინ დაასაქმებს ყოფილ პატიმრებს, როცა სამუშაოს პოვნა პატიოსან ადამიანებსაც უჭირთ?

იხ. მე-2 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### სახელმწიფო კანცელარია არ ადასტურებს

სახელმწიფო კანცელარია არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს 26 ივლისისთვის დაგეგმილი არაოფიციალური ვიზიტი მოსალოდნელი ტერაქტის გამო გადაიდო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო კანცელარიაში განუცხადეს, იუშჩენკოს ვიზიტის გადადების მიზეზი უკრაინის პრეზიდენტის მჭიდრო სამუშაო გრაფიკი გახდა.

სავარაუდოდ, ვიქტორ იუშჩენკო საქართველოს აგვისტოს თვეში ეწვევა. აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიკოლაი სპისიც ადასტურებს.

### ოფიციალური კიევი უარყოფს

უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა პეტრე პოროშენკომ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ საქართველოში ვიზიტი ტერაქტის საფრთხის გამო გადადო.

„ვიზიტის გადადება პრეზიდენტის საქმეა. ოფიციალურად ვადასტურებ, რომ შესაძლო თავდასხმის შესახებ გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეეფერება,“ — განუცხადა პოროშენკომ გუშინ ჟურნალისტებს.

გუშინ, გაზეთმა „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა მასალა საქართველოში იუშჩენკოს ვიზიტის დროს მის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის შესახებ. გაზეთი წერს, რომ იუშჩენკოს თვითმფრინავი დივერსანტთა ჯგუფს უნდა ჩამოეგდო. გაზეთის ვერსიით, ეს ინფორმაცია 26-30 ივლისს დაგეგმილი ვიზიტის გადადების მიზეზი გახდა.

### არუთინიანი „ქიმიკოსიც“ ყოფილა?!

თავისუფლების მოედანზე 10 მაისს მომხდარ ტერაქტში და პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანის კუთვნილ სარდაფში ნაპოვნია ქიმიური ნივთიერებები და სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიული ინვენტარი.

ვაშლიჯვრის №11 კორპუსის სარდაფში ნაპოვნია გოგირდმჟავიანი 20-ლიტრიანი მინის ავზი, რამდენიმე ყუთი თერმომეტრი, სავარაუდოდ, ვერცხლის წყლის მარაგისთვის, ქიმიური რეაქციებისთვის საჭირო მოწყობილობა და სხვადასხვა დასახელების ლაბორატიული ნივთები.

ამავე სარდაფში ნაპოვნია ავტომანქანის სანომრე ნიშნები, რომლებიც სავარაუდოდ, მოპარულ ავტომანქანას ეკუთვნოდა.

აღმოჩენილი ნივთები დაილუქა და შემდგომი კვლევისთვის ლაბორატორიაში გადაიგზავნა.

### გიორგი ხაინდრავა არ გამორიცხავს

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას შეფასებით, დღეისთვის ცხინვალის რეგიონში საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი.

სახელმწიფო მინისტრს მიაჩნია, რომ ოსი სეპარატისტები და მათი მხარდამჭერები აუცილებლად შეეცდებიან რეგიონში სიტუაციის გამწვავებას. ხაინდრავა მათი მხრიდან პროვოკაციული ქმედებების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.

იგი აბსურდულს უწოდებს რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებას, თითქოს საქართველო ომისთვის ემზადება.

### ბრიუს ჯორჯი კმაყოფილია

ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი ბრიუს ჯორჯი ქართველი სამართალდამცველების მუშაობით კმაყოფილია.

აღნიშნული განცხადება ბრიტანელმა პარლამენტარმა საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ნინო ბურჯანაძესთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე, აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე არშემდგარი ტერაქტის კომენტირებისას გააკეთა.

ინტერპრესნიუსი

## მოგზაურის კვერთხი

„გაუმარჯოს ქრისტიან საქართველოსაო“. დევნახე დაწერილი.



ჩუენ რას გვებნებით, თურქეთში მილიონ ქართუელსა, საქართველო ჩუენი არნა იყოს?

საქართველოსა სიზმარში ვნახულობთ, საქართველო გვესიზმრება და ჩუენი არნა იყოს?

ეს არ გამოდის კარგა!

ჩუენი რა სუჩია (ბრალია) რაროე მუსულმანი გავმხდარვართ. მაშინ დროს მოუტანია მუსულმანობა ჩუენი ძველებისთვის.

ჩუენ რა ვქნათ ახლა? გურჯისტანში აღარ მიგვიშვაინა?

მე ჩემი გოგო-ბიჭი თბილისში დავტიე, უნივერსიტეტში. ქართულად მინდა გეიზარდონ. საქართველოს ისტორია ისწავლონ, თამარ მეფით, დავით აღმაშენებლით, გიორგი სააკაძით იხარონ და იჯიბრონ (თავი მოიწონონ). საქართველო ჩვენიც იყოს.

იხ. მე-3 გვ.

## დიდგორი გვაქვს ერთი

### ჯანსუღ ჩარკვიანი



ღამე დღის კარს კეტავს,
ვამბობ, რაც არ მეთქმის,
არ მცოდნოდა ნეტა,
ომი ბაზალეთის.

* * *

წარსულს ქვები დავსცხეთ,
იმედი გვაქვს ზეცის,
ვეფერებით კვარცხლბეკს,
საკუთარი მეგლის.

* * *

ნეტა ხვალ რა გვეთქმის —
არც სინათლე მოსჩანს,
დიდგორი გვაქვს, — ერთი,
გათავდა და მორჩა.

იხ. მე-3 გვ.

## ◉ პანორამა

ინდოეთის ოკეანეში ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე მომხდარმა ავარიამ 300 კაცი დააზარალა. არიან დაღუპულები და დაჭრილები — თქვა ინდოეთის ნავთობის მინისტრმა მანი შანკარ აიიარიმ, — მაგრამ ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს ამის შესახებ, რადგან თავსხმა წვიმისა და წყალდიდობის გამო ყველა საკომუნიკაციო ხაზი დაწყვეტილია.



* * *

ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა 23 ივლისს ეგვიპტის ქალაქ შარმ ეშ-შეიხში მომხდარი ტერაქტებისთვის, ტურისტების საყურადღებოდ გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „თუ გსურთ, უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი ისლამურ ქვეყნებში, უწინარესად, იქ ჩასვლისთვის უნდა აიღოთ უსამა ბენ ლადენისა და აზ-ზავახირის თანხმობა. ეს თქვენ უსაფრთხოების გარანტიებს მოგცემთ და ჩვენც დაგიცავთ და გადაგარჩენთ“.

## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## უკრაინა და საქართველო რუსეთის მტრები არიან?

„სეგოდნია“ (კიევი), 27 ივლისი.

СЕГОДНЯ
ЕЖЕДНЕВНАЯ УКРАИНСКАЯ ГАЗЕТА

იხ. მე-5 გვ.

## დავეწიოთ... უგანდას და ნამიბიას (?!)

მსოფლიოში ისეთმა სერიოზულმა ორგანიზაციამ, როგორიცაა ამერიკის კვლევითი ინსტიტუტი, ყოველწლიური ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო მე-100 ადგილზეა. იგივე ინსტიტუტის მონაცემებით, შარშან 91-ე ადგილზე ვიყავით, წელს კი მეასეზე გადავინაცვლეთ. ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ... მონღოლეთს, უგანდას, ნამიბიას (?!)...

იხ. მე-2 გვ.

## თუ ერთხელ ტაშს დაგიკრავენ, მეორეჯერ ცხვირ-პირს დაგიმტვრევენ



იხ. მე-4 გვ.

## მიაყრიან ახლა ბავშვებს სექტანტურ ლიტერატურას...

„დაუშვებელია სასკოლო ბიბლიოთეკაში წიგნების ცენზურა“ (ამონაწერი ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან).

იხ. მე-3-4 გვ.



— საინტერესოა, რომელმა ნაძირალამ უთხრა მამა კარლოს, რომ ჯვრის ტარება აკრძალულია?

საქართველოს რესპუბლიკა
№ 177. ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2005 წელი.

მთავრობა

# უნებლიე შეცდომა თუ ბოროტი განზრახვა?

**მთავრობის გუშინდელ სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ განსახილველად გამოიტანა ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის 2004 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება, რომელიც სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზებას ითვალისწინებს. დღის წესრიგში მითითებული იყო ამ ბრძანებულების გაუქმების თაობაზე.**

მაგრამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ბრიფინიგზე გაირკვა, რომ იუსტიციის მინისტრი ბრძანებულების გაუქმებას კი არ მოითხოვდა, არამედ ბრძანებულების ახალი რედაქციით გამოცემას, ანუ მის კორექტირებას, რომელსაც, მისივე თქმით, „პრივატიზაციის კანონიერება-უკანონობასთან არავითარი კავშირი არ აქვს“.



კემულარიას განმარტებით, პრივატიზაცია პრივატიზაციის კანონის შესაბამისად მიმდინარეობს, ხოლო მის მიერ განსახილველად გამოტანილი საკითხი გულისხმობს მხოლოდდამხოლოდ კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ წესებს, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს პრივატიზაციის დაწყებამდე წინასაკვალიფიკაციო შერჩევები და კონსულტაციები. იგულისხმება სამომავლოდ, ამ ფორმის დახვეწა ინვესტორთა უფლებების დაცვის, დემოკრატიზაციისა და ამ პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

კემულარიას თქმით, ეს არ გულისხმობს იმას, რომ დღემდე მიმდინარე პრივატიზაცია საეჭვოა, პირიქით, პრივატიზაცია წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში. „თუმცა არის ხარვეზებიც და მთავრობა იმისთვის არსებობს, რომ ამ ხარვეზებზე ვიმსჯელოთ“.

იუსტიციის მინისტრი კმაყოფილი იყო იმით, რომ მთავრობამ ამ საკითხზე დეტალურად იმსჯელა და ეკონომიკური განვითარების მინისტრს დაევალა, ერთი კვირის განმავლობაში, ბრძანებულების ახალი რედაქციის შესახებ წინადადებების წარმოდგენა.

ბრიფინგზე კომენტარი გააკეთა ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემაც. მისი თქმით, 2004 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება არ გაუქმდება. ამის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან ის კარგი დოკუმენტია. სახელმწიფო მინისტრი ფიქრობს, რომ იუსტიციის სამინისტრო შეცდა, როცა მთავრობის სხდომაზე ამ ბრძანებულების გაუქმების ინიციატივით გამოვიდა.

ბენდუქიძე დარწმუნებულია, რომ ეს უნებლიე შეცდომა იყო და იუსტიციის სამინისტროს ამ ინიციატივის მიღმა მის წინააღმდეგ მიმართული არანაირი ბოროტი განზრახვა არ იმალება.

კახა ბენდუქიძეს სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზება მოსწონს და ფიქრობს, რომ ინვესტორთა უფლებები არ ირღვევა. ეს საქართველოში ფართომასშტაბიანმა პრივატიზებამაც დაგვანახაო.

ჩვენი კანონები ინვესტორთა უფლებებს რომ ლახავდეს, ფულის დაბანდებას აღარავინ ისურვებდაო, – ამბობს კახა ბენდუქიძე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

აქტუალური თემა

# დავეწიოთ... უგანდას და ნამიბიას (?!)

**უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოში თითქოს ბევრი რამ გაკეთდა – საგადასახადო შეღავათები, ლიცენზირების სისტემის გამარტივება და სხვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. უცხოელი ექსპერტების და არა მარტო მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კორუფციის მასშტაბები მცირდება, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა პრობლემური გახდა.**

**თუნდაც ის ფაქტი, რომ „ევრაზია ჰოლდინგმა“ 20 მილიონი გადაიხადა, რათა „ჭიათურმანგანუმი“ და „ვარციხეჰესი“ არ წაეღო, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. და გააკეთეს კიდეც უცხოელმა ექსპერტებმა ჩვენთვის მეტად არასახარბიელო დასკვნა – მსოფლიოში ისეთმა სერიოზულმა ორგანიზაციამ, როგორიცაა ამერიკის კვლევითი ინსტიტუტი, ყოველწლიური ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო მე-100 ადგილზეა. იგივე ინსტიტუტის მონაცემებით, შარშან 91-ე ადგილზე ვიყავით, წელს კი მეასეზე გადავინაცვლეთ. ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ... მონღოლეთს, უგანდას, ნამიბიას (?!)**

ამერიკის კვლევითი ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ ყველა მიმართულებით უნდა იმუშაოს, ეს იქნება სასამართლოს საკითხი თუ ინვესტორების დაცვა. საზღვარგარეთიდან მიღებული ეს სიგნალი მთავრობისთვის ალბათ, ყურადსაღები იქნება. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტი თავის წილ პასუხისმგებლობას არ გაურბის.

გუშინ ნინო ბურჯანაძემ საპარლამენტო მდივნებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ამერიკის საკმაოდ კომპეტენტურ ორგანიზაციას საქართველოს მიმართ ძალიან სერიოზული შენიშვნები აქვს, რაც მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანომ ერთობლივი ძალისხმევით უნდა გაითვალისწინონ.

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სექტემბრიდან საქართველოს საკანონმდებლო ორგანო ახალ რეჟიმში იმუშავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონპროექტებს ფორსმაჟორულ ვითარებაში არ მიიღებენ. ანუ, იქნება ხარისხი და არა რაოდენობა. მოგეხსენებათ, ვარდების რევოლუციის შემდეგ პარლამენტმა ასეულობით კანონი მიიღო. ამდენ კანონს კარგად რომ ემუშავა, დღეს ქვეყანა აყვავებული უნდა იყოს. საკანონმდებლო ორგანოში აცხადებენ, რომ ამიერიდან ყველა მიღებული კანონის კონტროლს გაამკაცრებენ, მთავრობა და პარლამენტი შეთანხმებულად იმუშავებენ, ანუ, მარჯვენას ეცოდინება, რას აკეთებს მარცხენა.

**მზია გელენავა**

სპეციალისტის თვალით

# დროა, დავეშვათ ციდან მიწაზე!

## საქართველოს ეკონომიკას კრახი ემუქრება, მიიჩნევს ცნობილი ეკონომისტი და ექსპერტი ნიკო ორველაშვილი

**ახლა სულ უფრო ხშირად ისმის ხელისუფალთაგან, რომ ქართველი ხალხი აშენებს თანამედროვე, დასავლური ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოს. თუმცა ეს რატომღაც არ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, ხალხის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა და იმისთვისღა იბრძვის, რომ როგორმე სული გაიტანოს. ამასთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ ეკონომისტსა და ექსპერტს ნიკო ორველაშვილს.**



**„საქართველოს ეკონომიკას კრახი ემუქრება, აცხადებს ბატონი ნიკო. ჭეშმარიტება მარტივია – როცა ბიზნესმენი ფიზიკურად დაუცველია, როცა დაუცველია მისი უფლებები საკუთრებაზე, მაშინ მას ქვეყანაში საკეთებელი აღარაფერი რჩება. ეს თავის მხრივ აისახება ბიზნესის კლებაზე, უმუშევრობაზე, მცირე შემოსავლებზე და, შესაბამისად, მცირე მოხმარებაზე. სწორედ ეს გახლავთ ეკონომიკის კრახი და მეტი სხვა არაფერი. ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში ბაზარზე უძრავი ქონების ფასი ორჯერ გაიზარდა, ასევე ამის მახასიათებელი ინდიკატორია. ადამიანები ინტუიციით გრძნობენ, რომ საქმეში ფულის დაბანდება არამომგებიანია, მაგრამ ამას მაინც გვერდს ვერ უვლიან. ამიტომაც უძრავი ქონების ფასი გაორმაგდა და ინფლაციურმა პროცესებმაც არ დააყოვნა.**

**– ბატონო ნიკო, ხელისუფლება კმაყოფილებას ვერ ფარავს ქვეყანაში ახალი, მისი აზრით, ლიბერალური საგადასახადო კოდექსის მიღების გამო, ბიზნესმენებს კი მისკენ გახედვაც არ უნდათ. როგორია ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება?**

– მართალნი არიან, როცა ახალი კოდექსი არ მოსწონთ. ვიდრე რამეს ვიტყოდეთ მაღალ ან დაბალ საგადასახადო პროცენტებზე, უნდა შევთანხმდეთ, რომ ის პროცენტები, რომლებიც კანონის მიერ არის დადგენილი, მუშაობენ რეალურ ცხოვრებაში. მაგრამ სიტუაცია ისეთია, რომ საქმის ბედს წყვეტს არა საგადასახადო გათვლები, არამედ ის, თუ როგორია საგადასახადო ინსპექტორის გეგმა, რომელთანაც ამა თუ იმ ბიზნესმენს უწევს ურთიერთობა. როგორც არ უნდა ვატრიალოთ საკითხი, ინსპექტორს ერთი მიზანი აქვს – მან უნდა ამოიღოს წინასწარ დადგენილი თანხა. ბუნებრივია, ამის შემდეგ ყოველგვარი საგადასახადო გათვლები ფიქციად იქცევა.

ჩემი აზრით, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელთა უფლება-მოვალეობანი უნდა იყოს სიმეტრიული, რათა ისინი იქცეოდნენ პატიოსნად. ამაზე ხელისუფლება არ წავიდა და ცხადი ხდება, რატომ. ახლა ყოველ გადამხდელს შეიძლება შეუდგინო აქტი, რომ ის „ნიანგია“, მას კი არაფრით არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ „ნიანგი“ კი არა, მხოლოდ „ჭიჭყინა თევზია“. შესაბამისი ორგანოებისთვის ის მაინც რჩება „ნიანგად“ და ტყავსაც ამის მიხედვით აძრობენ.



გადამხდევინებელი და გადამხდელები.

ასე რომ, გადასახადის გადამხდელი აბსოლუტურად დაუცველია. სიმართლე მხოლოდ საგადასახადო ორგანოების მხარეზეა: რასაც იტყვიან, ის შესრულდება. შეიძლება დაიწყოთ სირბილი სიმართლის დასადგენად, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია. პირდაპირ ვიტყვი – დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა საქართველოში უკვე დამარხულია. ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. იქ სადაც არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, ძნელია ვიოცნებოთ მაღალ ეკონომიკურ ტემპებზე. ეს ცხადზე უცხადებია.

**– ამ ფონზე როგორ შეაფასებდით მთავრობის ეკონომიკური ბლოკის საქმიანობას?**

– ძალიან ცუდად. მე პირადად პატივს ვცემ ბატონ კახა ბენდუქიძის ლიბერალურ შეხედულებებს, მაგრამ თვითონვე გამოტყდა, რომ საქმე ჩაუვარდა, არ შეუძლია დაიცვას ბიზნესმენები. თავის დროზე ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ მთავრობაში შეიქმნება ბიზნეს-ომბუდსმენის განსაკუთრებული პოსტი, მაგრამ ეს იდეაც წარმატებით დაიმარხა. და ასევე საგადასახადო დავების განხილვის მექანიზმი კერძო არბიტრაჟში.

**– საქართველო აცხადებს, რომ მისი სტრატეგიული ამოცანაა ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაცია. ამას რა თვალით შეიძლება შევხედოთ?**

– ეს მხოლოდ დეკლარაციაა, რომელიც პრაქტიკით განუმტკიცებელია. რა ევროპულ ინტეგრაციაზე შეიძლება საუბარი, როცა ქვეყანას ეკონომიკური სტრატეგიაც კი არ გააჩნია? დღეს ჩვენ ვთამაშობთ იმ წესების მიხედვით, რომლებიც ხელს აძლევს მთავრობას. და თუ პირობები ხელს არ აძლევს, წესები იცვლება თამაშის მიმდინარეობის პროცესში. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს. თუ გვინდა, რომ ეკონომიკაში რაიმეს მივაღწიოთ, საგადასახადო პოლიტიკა უნდა გქონდეს ლიბერალური, თამაშის წესები და სასამართლო სისტემა – პატიოსანი.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში წესიერი ბიზნესის განვითარება შეუძლებელია?**

– საქართველოში ბიზნესი შესაძლებელია მხოლოდ მცირე მასშტაბებში. აქ სერიოზული ბიზნესმენი რისკზე არ წავა. და ჩნდება სიმპტომატური კითხვა: სად გაქრა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ფლობს მსხვილ საინვესტიციო რესურსებს? მისი პროექტები დახურეს, თვითონ კი საქართველოდან წავიდა, იმის მიუხედავად, რომ აქ მას საფრთხე არ ემუქრებოდა. თუ რა შეემთხვა ვალერი გელაშვილს, ყველამ ვნახეთ ამ ცოტა ხნის წინათ. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

**– აქედან გამომდინარე, რას ურჩევდით მათ, ვისაც სურს თავის მცირე ბიზნესი წამოიწყოს?**

– ასეთ საქმეში რჩევების მიცემა ძალიან სარისკოა. ყველა ბიზნესი უნდა იგებოდეს ძველი თქმულების მიხედვით: „ყოველი ჯარისკაცი ოცნებობს გენერლობაზე“. როცა ადამიანი იწყებს ბიზნესს, იგი ადგენს გეგმას, როგორ მიაღწიოს გარკვეულ სიმაღლეს. ჩვენთან კი სიტუაცია ისეთია, რომ როგორც კი ვინმე ბიზნესს ფეხზე დააყენებს, უნდა ელოდეს ნებისმიერ უსიამოვნებას. მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს – დაწყებული ფულით და დამთავრებული სიცოცხლით.

**– და მაინც, როგორია თქვენი სამომავლო პროგნოზი?**

– უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება უნდა გადაეჩვიოს ტრაბახსა და ბაქი-ბუქს – „ჩვენ გავასამმაგეთ ბიუჯეტი, მნიშვნელოვნად გავზარდეთ პენსიები და ხელფასები“. ყოველივე ეს ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია და არა რეალობა. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ხელოვნური სურათის დახატვა რომ შესაძლებელია, ჩვენმა ფინანსისტებმა და საგადასახადო მუშაკებმა ეს ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს შესანიშნავად ისწავლეს. ასე თუ გაგრძელდა, მალე ალბათ ბიუჯეტი ვერ შეძლებს ხელფასებისა და პენსიების დაფინანსებას. და ყველამ დავინახეთ, რომ მეფე შიშველია. ამიტომ, დროა, შევწყვიტოთ ზღაპრების მოყოლა მოსახლეობისთვის და სიმართლეს შევხედოთ თვალებში. მე ველოდები ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებას, რომელშიც იტყვის, რომ ადრე ცაში ფრინავდა, ახლა კი როცა ჩვენს კურთხეულ დედამიწაზე დაეშვა, დაინახა, რომ აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც სიმაღლიდან ჩანდა. და იწყებს მოქმედებას ყოველგვარი წესების დაცვით.

**პირველი,** მისცემს სრულ დამოუკიდებლობას სასამართლო სისტემას. **მეორე,** სამართალდამცავ ორგანოებს მიუჩენს თავის ადგილს, რათა მათ რეალურად ებრძოლონ დამნაშავეობას, **მესამე,** ქვეყანა შეიმუშავებს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას.

დღეს კი მაქვს შეგრძნება, რომ ჩვენში ყველა გადაეჩვია სერიოზულ ფიქრს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ რაღაც სიურეალისტურ გარემოში. ხელისუფლება ხალხს ჩამოშორდა. მან დაიწყო ცხოვრება თავის სამყაროში, ისე როგორც მას წარმოუდგენია. ეს ძალიან საშიშია, რადგან სინამდვილეს მოწყვეტილი ხელისუფლება არაადეკვატური გახდა, რამდენად შეძლებს იგი ამ გზიდან მკვეთრად შემობრუნებას, ვნახოთ.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**

სახელმწიფო და მართვა

# რეალური თვითმმართველობის დასამკვიდრებლად

**„ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტი, მისი აუდიტი, კონტროლი და საგადასახადო სისტემა“ – ეს გახლავთ ურბანული ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გუშინ გამართული მრგვალი მაგიდის თემის სახელწოდება. მასში მონაწილეობა მიიღეს ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიის ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო-ეკონომიკური უფლებამოსილების სამუშაო ჯგუფის, ურბანული ინსტიტუტის, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების ფონდ სშთუ-ტრანსკავკასიის, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა და მასმედიის წარმომადგენლებმა.**

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი. მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საქართველოში რეალური თვითდამკვიდრებისთვის ყველაფერი მზად უნდა იყოს. ამისთვის კი საჭიროა როგორც სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს რეალური თვითმმართველობის დასამკვიდრებლად სასიცოცხლო მნიშვნელობის, კერძოდ, აუდიტის, კონტროლის, საგადასახადო სისტემის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ა.შ. მექანიზმების დახვეწის აუცილებლობაზე, რეფორმების განხორციელების მეთოდებსა და ვადებზე.

ვრცელ მასალას ურბანულ ინსტიტუტში გამართული მრგვალი მაგიდის თაობაზე გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## ჰაი გიდი, ქართულო ზრდილობავ!



**საქართველოს პარლამენტი დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას გაიზიარებს და დიდი ბრიტანეთის დეპუტატთა ქცევის და ეთიკის ნორმები საქართველოს პარლამენტშიც დაინერგება.**

**აღნიშნული განცხადებები გუშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და ბრიტანეთის პარლამენტის წევრის, აგრეთვე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო პრეზიდენტის ბრიუს ჯორჯის შეხვედრაზე გაკეთდა.**

**როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბრიუს ჯორჯს შესთავაზა, დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ჯგუფი, საქართველოს პარლამენტს იმ რეკომენდაციებს და წინადადებებს გამოუგზავნის, რომლის მიხედვითაც თავად დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა პარლამენტის წევრთა ქცევისა და ეთიკის ძირითადი პრინციპები.**

**პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს პარლამენტისათვის უმნიშვნელოვანესია პასუხისმგებლობების, ვალდებულებებისა და უფლებების გაცნობა და გაზიარება, რომელიც დიდი ბრიტანეთის პარლამენტშია დამკვიდრებული.**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტში დეპუტატების ქცევისა და ეთიკის ნორმების დასახვეწად მომუშავე საპარლამენტო ჯგუფი აუცილებლად გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომელსაც ბრიტანეთის საპარლამენტო ჯგუფი გამოუგზავნის საქართველოს და იგი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების სახით აისახება.**

**გარდა ამისა, ბრიუს ჯორჯმა ნინო ბურჯანაძეს დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ჟურნალისათვის ინტერვიუ ჩამოართვა. ინტერვიუს ძირითადი თემა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის საქართველოს დემოკრატიული განვითარების ეტაპებს შეეხებოდა.**

## ძებნილი დიდი ლიახვის ხეობაში აიყვანეს



**გუშინ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სპეცოპერაცია ჩატარდა.**

**სამართალდამცველებმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძებნილი გოგა კასრაძე ცოტა ხნის წინათ დიდი ლიახვის ხეობაში აიყვანეს.**

**დანაშაულში ეჭვმიტანილმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ორმხრივი სროლის დროს კასრაძემ სხეულის დაზიანება მიიღო. ქურთას საავადმყოფოს ბრიგადამ სამშვიდობოების დახმარებით იგი ცხინვალის გავლით უკვე გამოიყვანა.**

**კასრაძეს ბრალად ედება 22 ივნისს, გორის ცენტრში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი ადამიანის, მათ შორის ერთ-ერთი პოლიციელის მჭედლიშვილის დაჭრა.**

## არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება



**საქართველოს პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ მიიღო.**

**ცსკ-ს განკარგულებით, საპარლამენტო არჩევნები თბილისში - ისნის, შუახევის, ტყიბულის, ბათუმისა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.**

**ამჟამად ცსკ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კომისიის მდივნის, კომისიის სხვა წევრთა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ხელფასების განსაზღვრის შესახებ მსჯელობს.**

## მოხდება თანამდებობრივი გადანაცვლებები

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეორგანიზაცია იგეგმება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ აკადემიის ახალდანიშნულმა რექტორმა, პოლკოვნიკმა კობა ლაჭყებიანმა განუცხადა, ამჟამად კონკრეტული სქემები მუშავდება, რეორგანიზაცია კი აგვისტოს ბოლოს დაიწყება.**

**რექტორის თქმით, იგი შემცირებებს არ გეგმავს, თუმცა, გარკვეული თანამდებობრივი გადანაცვლებები აუცილებლად მოხდება. აკადემიის თანამშრომლებმა უკვე მოაწერეს ხელი რექტორის ბრძანებას, რომლითაც მათ მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ გაფრთხილება ოფიციალურად მიიღეს.**

**პოლკოვნიკი კობა ლაჭყებიანი რექტორის მოვალეობის შესრულებას 2005 წლის 14 ივლისიდან შეუდგა. მანამდე ის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაური იყო. უფრო ადრე კი ლაჭყებიანი ვაზიანში დისლოცირებულ მე-11 მექანიზებულ მოტომსროლელ ბრიგადას მეთაურობდა. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.**

**ინტერპრესნიუსი**

ამასაც მოვესწარით!

# ვინ დაასაქმებს ყოფილ პატიმრებს, როცა სამუშაოს პოვნა პატიოსან ადამიანებსაც უჭირთ?

**პრობაციის დეპარტამენტი საქართველოში წელიწადნახევარია არსებობს. მართალია იგი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგრამ საზოგადოებამ ამ სამსახურის შესახებ თითქმის არაფერი იცის. პრობაციის დეპარტამენტს ევალება ციხიდან გამოსულ პირთა ფსიქოლოგიური მომზადება, საზოგადოებაში ინტეგრაცია და, შეძლებისდაგვარად, დასაქმება.**



ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სამხრეთ კავკასიაში 2000 წლიდან მუშაობს, პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში პატიმართა და სახელმწიფო მოხელეთა უფლებების გასაუმჯობესებლად მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასთან და მესამე სექტორთან. საქართველოში ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარება „ციხის საერთაშორისო რეფორმამ“ ექვსთვიან პროექტში ჩაატია. დღეს ორივე მხარე მიიჩნევს, რომ პროექტი წარმატებით დასრულდა.

მუშაობის შედეგებზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ტყეშელაშვილმა, პრობაციის დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე არაყიშვილმა და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენელმა მაურა ჰარინგტონმა „თბილისი მარიოტში“ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. ექვსთვიანი პროექტი „სწრაფი რეაგირების მექანიზმი“ ევროკავშირის მხარდაჭერით და ბრიუსელის ევროკომისიის ოფისის ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში ოთხი ტრეინინგი ჩატარდა, აქედან ორი ტრეინერების მოსამზადებლად. პრობაციის დეპარტამენტის სამომავლო გეგმებს მიეძღვნა სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან. ამასთან, პრობაციის სამსახურმა, ტექნიკური დახმარებაც იგემა, კერძოდ, განხორციელდა პრობაციის დეპარტამენტის, ასევე თბილისის პრობაციის ბიუროს კომპიუტერიზაცია. სამსახურს გადაეცა აგრეთვე ფაქსები, ქსეროქსები, სკანერები, ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები.

ვიზიტის ფარგლებში შედგა ორი ჯგუფის ვიზიტი ესტონეთსა და ჰოლანდიაში, რომლის მიზანი გახლდათ ამ ქვეყნების პრობაციის სისტემების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“ აქტიურად თანამშრომლობდა მესამე სექტორთან. კერძოდ, ბოლო ორი თვის განმავლობაში PRI-ის საქართველოს რეგიონული ოფისის ზედამხედველობით, პრობაციის დეპარტამენტთან ერთად, განხორციელდა პროგრამა, რომელშიც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი „ემპათია“, ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს ეროვნული ინსტიტუტი და კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი მონაწილეობდნენ. ამ ორგანიზაციებს გადაეცათ გრანტები, რის შემდეგაც, ამ მიმართულებით შესაბამისი საქმიანობაც გასწიეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არასრულწლოვან და 24 წლამდე ასაკის ყოფილი პატიმრებისთვის სამართლის სხვადასხვა დარგში მოკლე საგანმანათლებლო სემინარი ჩაატარა. მათთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა და დაბეჭდა 2500 ცალი ბუკლეტი, რომელიც მათი დასაქმებისა და განათლების საკითხს ეხება.

„ემპათიამ“ პრობაციონერი ქალებისთვის ტრეინინგ-სემინარი ჩაატარა ადამიანის უფლებების, სამსახურის ძიების ტექნოლოგიების, მიგრაციის, ტრეფიკინგისა და სხვა საკითხებზე. დაიბეჭდა ბუკლეტი „სამუშაოთა მაძიებლებისთვის“, რაც ყოფილ მსჯავრდადებულებს სამუშაოს ძიების უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა შეიმუშავა არასრულწლოვან პრობაციონერთა რესოციალიზაციის ექსპერიმენტული ცენტრის მოდელი. მათვე მოაწყეს მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობდნენ პრობაციის სამსახურის, მესამე სექტორის და მასმედიის წარმომადგენლები.

სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი აცხადებს: „პროგრამის დასახული მიზნები მთლიანად განხორციელდა, შედეგად მივიღეთ უკეთესად აღჭურვილი და მოტივირებული სამსახური. გარდა ამისა, დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეიძინეს ახალი უნარ-ჩვევები, რათა უკეთ ჩამოაყალიბონ და განახორციელონ პროგრამები. ეს ყველაფერი ყოფილ პატიმრებს დაეხმარება საზოგადოებრივ ინტეგრაციასა და კანონისადმი მორჩილებაში, რაც დაეფუძნება ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებასა და სტანდარტებს“.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი კი მთავრობის აზრს ახმოვანებს და ამბობს: – სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ აღმკვეთ ღონისძიებად ალტერნატიული სასჯელები გამოიყენოს და ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა უკიდურეს საშუალებად მოიტოვოს და იგი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში გამოიყენოს.

ამ ფონზე, ცხადია, აუცილებელია პრობაციის ინსტიტუტის გაძლიერება, რათა გამოსწორების გზას დაადგეს ყველა ყოფილი პატიმარი. მართალია, დღეს ბევრი პატიოსანი ხალხიც ვერ შოულობს სამსახურს, მაგრამ მსჯავრდადებულთა გარეთ გამოსვლა ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს მათს უკანვე შებრუნებას. ეს იქნება ტრაგედია, რაც თავიდან უნდა აგვაცილოს სწორედ პრობაციის სამსახურმა.

**ლელა ხვადაგიანი**

№ 177, ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2005 წელი.

⊙ პოეზია

# დიდგორი გვაქვს ერთი

ტამარ-ტამარ დახვალ,
შენი სუნნელ-ამბრით,
უწყობ სადილ-სამხარს,
სტუმარს დიდი ამბით.

წასული არც არის,
უკვე ჭორავ სტუმარს,
გაღებული კარი
გულისკარებს ხურავს.

სადღეგრძელოს ბოლოს
იტყვი — ამენ, ამენ.
ჩვენთან, ჩვენთან მხოლოდ,
სულ ბოლომდე სვამენ.

რა გულითაც ლოცავ,
ისე გლოცავს ისიც
და დავთვრებით როცა,
ვხდებით წყევლის ღირსი.

არცა მომხრე არ გყავს,
გევხარ მკვახე გოგრას,
ისევ სუფრის ყაყანს
ვისმენ, ვითარ ბორგას.

ღამე დღის კარს კეტავს,
ვამბობ, რაც არ მეთქმის,
არ მცოდნოდა ნეტა,
ომი ბაზალეთის.

მიესალმე — აღუ...
დღის და ღამის გაყრას,
ელოდები აღლუმს,
მაგრამ ხალხი არ გყავს.

წარსულს ქვები დავსცხეთ,
იმედი გვაქვს ზეგის,
ვეფერებით კვარცხლბეკს,
საკუთარი მეგლის.
* * *
კი, ბატონო, ვმღერით,
ვმღერით ღვთისა მადლით,
მაგრამ, დავალთ ბღვერით,
თავს უფლისწულს ვადრით.

კი ბატონო, ვცეკვავთ,
თანაც მაან მაგრად,
მაგრამ ჩვენს მტერს ვერ ვკლავთ,
ჩვენ ერთმანეთს ვკარგავთ.

არც მოყვრისა არ გვწამს,
არც ჩვენივე მოძმის,
დაკარგულა ღვაწლი,
ჩვენივ დედაშობის.

დავალთ, სიცილ-სიცილ,
ღრეული და მთვრალი,
ფასი აღარ ვიცით,
ჩვენი მზის და მთვარის.

მარად ვემებთ მფარველს,
ჩვენით თავს ვერ ვიცავთ
და ჩვენი ცხვრის არვე,
მეცხვარესა კიცხავს.

შური, ერთადერთი —
ჩვენი სულის შვება,
არ გვპატიობს ღმერთი,
ძმებთან მტრობით შებმას.

ნეტა ხვალ რა გვეთქმის —
არც სინათლე მოსჩანს,
დიდგორი გვაქვს, — ერთი,
გათავდა და მორჩა.

მე ვჭვრეტ ხვალის თვალით —
რაც დღეს უნდა მეთქვა,
ვუმადლოდეთ დავითს —
ყივჩაღებთან ერთად.



ჯანსუღ ჩარკვიანი
2005 წ. 13 ივლისი.

⊙ თანამშრომლობა

# ბანკი სიძველეების მოძიებაზე ზრუნავს

## უწარსულოდ ქვეყანა ქვეყანა ვერ იქნება

**სასტუმრო „თბილისი მარიოტში" პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა ჟურნალისტებს გვაუწყა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი" პროკრედიტ ბანკის ფინანსური მხარდაჭერით იწყებს ქართული ფოლკლორის ნიმუშების გადარჩენის პროექტის მესამე ეტაპს.**

— ჩვენი უპირველესი მიზანია, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ვიზრუნოთ და მხარი დავუჭიროთ ქართული კულტურის აღორძინებასა და შენარჩუნებას. ვამაყობთ, რომ ისეთ ქვეყანაში ვმუშაობთ, რომელსაც მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა აქვს. ამ პროექტის მხარდაჭერის მიზანია, გარკვეული წვლილი შევიტანოთ ქართული ხალხური კულტურის დაცვაში და ამით გამოვხატოთ ჩვენი მაღალი შეფასება თქვენი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. გვჯერა, რომ ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრის თანამშრომლები მართლაც შეუფასებელ სამსახურს გაუწევენ საკუთარ ქვეყანას, — თქვა მან.

უფრო კონკრეტულად რა მიზანს ისახავს ეს პროექტი? როგორც პოეტმა, ამ პროექტის ერთ-ერთმა თანაავტორმა ეთერ თათარაიძემ განაცხადა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი" 2000 წელს შეიქმნა. მისი მიზანია, საქართველოს მასშტაბით ძველი ქართული საფლავის ქვების მოძიება, ფოტოფირზე გადაღება და ამ უნიკალური ნიმუშების მომავალი თაობებისათვის შენახვა. ამას თავის დროზე იკვლევდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მეგრელიძე. მერე კი, ეს საქმე მიივიწყეს. სოფელ გომარეთში (კასპის რ-ნი) გვითხრეს, აქ 35 წლის წინათ ნიკო კეცხოველი იყო, ძველი ქვის საფლავები აინტერესებდა, მას შემდეგ აქ აღარავინ ყოფილაო.

ამ პროექტის ავტორის ვახუშტი კოტეტიშვილის, თანაავტორების ეთერ თათარაიძის, პროექტის დირექტორის ამირან არაბულის და სხვათა ძალისხმევით კარგი საქმე კეთდება.

საქართველოს რეგიონებში უკვე რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო სახელწოდებით — „წამკითხველნო, გთხოვთ შენდობასა". დევიზი აღებულია საფლავის უძველესი ქვიდან.

ფართომასშტაბიანი საძიებო ღონისძიებების დროს გამოვლინდა ათეულობით უნიკალური ძველი საფლავის ქვა, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ხელოვნების ქვითხუროობის, ასევე ეპიტაფიების მხრივაც. ამ მივიწყებულ ხელოვნებას, თურმე, მხოლოდ თიანეთის რაიონში ავთანდილ ბურდული და მისი შვილი იყენებენ.

სიძველეების მოძიება და აღნუსხვა მათ სიცოცხლეს დაუბრუნებს.

კარგია, რომ პროკრედიტ ბანკმა ამ კარგ საქმეს მხარი დაუჭირა.

ლალი ქინქლაძე

⊙ სულიერება

# მიაყრიან ახლა ბავშვებს სექტანტურ ლიტერატურას...

## „დაუშვებელია სასკოლო ბიბლიოთეკაში წიგნების ცენზურა" (ამონაწერი ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან).

**ახლა თურმე არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველოში მოქმედმა რელიგიურმა სექტებმა თავიანთი ლიტერატურა სკოლებში გაავრცელონ. ამის შესახებ თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი აკაკი მინაშვილი ამბობს: „სკოლაში შეიძლება შევიდეს ნებისმიერი სახის ლიტერატურა. მათ შორის, რელიგიურიც. ოღონდ ყველა რელიგიის ლიტერატურა თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს". მისი აზრით, ეს ხელს შეუწყობს რელიგიურ შემწყნარებლობას. ასევე ნებაყოფლობით სკოლაში შეიძლება შეიქმნას რელიგიური ორგანიზაციები, ათითხუთმეტი ბავშვისაგან შემდგარი რელიგიური გაერთიანებები, სადაც მოზარდებს შეეძლებათ „შეიკრიბონ თავისუფალ დროს და ისაუბრონ მათთვის საინტერესო თემებზე". თუმცა, მისივე განმარტებით, „ეს არ არის სექტები. ჩვენთან მიღებულია გაკვეთილებზე ლოცვის იძულება, რელიგიური სიმბოლიკის განფენა საკლასო ოთახებში, რაც დაუშვებელია. ევროპაში მასწავლებელს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, ეკრძალება ჯვარი ან რომელიმე სხვა რელიგიური სიმბოლო ატაროს გამოსაჩენ ადგილას. ბავშვი მგრძნობიარე არსებაა, ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ და მასწავლებელმა გავლენა არ უნდა მოახდინოს მასზე... წიგნები ბიბლიოთეკაში არ ნიშნავს პროზელიტიზმს. მოსწავლეს თუ ექნება სურვილი, წაიკითხავს, თუ არა და, არა..."**

**საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქვეყანაა. ამიტომაც ის ვერ ამოვარდება კაცობრიობის განვითარების საერთო მსვლელობიდან. აქედან, რა თქმა უნდა, ქვეყანამ უნდა შეითვისოს საუკეთესო წესები, მაგრამ ბრმად არ უნდა მიენდოს სხვათა გავლენას. აი, მაგალითად, რატომ უნდა აეკრძალოს ქრისტიან მასწავლებელს გულზე ჯვრის ტარება სკოლაში? ის ხომ თავის მშობლიურ გარემოშია, ქრისტიანად მონათლულ ბავშვებში? ხოლო ვისაც სხვა აღმსარებლობის მშობლები ჰყავს, ის ძალით ხომ მაინც არ გაქრისტიანდება? ანდა მართლმადიდებელი, მერე, ზრდასრულობის პერიოდში, თუკი მოინდომებს და ამის სურვილიც ექნება, ვერ შეიცვლის რელიგიას?**

**მოკლედ, ამ საკითხის ირგვლივ კითხვები უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ. ამიტომაც პრობლემაზე სასაუბროდ დავითანხმეთ საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე მამა გიორგი (ზამბახიძე), რომელმაც მითხრა:**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლაში ბავშვთა უმრავლესობა არასრულწლოვანია. სახელმწიფოში და, საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროში არსებობს შესაბამისი კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ არასრულწლოვანი ბავშვების დაცვას. ეს არის, მაგალითად, მათი ზნეობისათვის საზიანო ტელეგადაცემების აკრძალვა, ჩვენთანაც არსებობს სათანადო სამსახური, რომელიც ზედამხედველობას უწევს ტელეგადაცემებს და, თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ, ბოლო ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა პროგრამები. სხვა საკითხია, ღამის 12 საათის შემდეგ რას აჩვენებენ, მაგრამ მანამდე არასრულწლოვანებისთვის შეუფერებელი ფილმების ჩვენება აიკრძალა. შესაბამისად, ტელეარხების ხელმძღვანელებიც პასუხისმგებელნი არიან ამ კანონის დარღვევისათვის.

თუკი სახელმწიფო თვითონ აწესებს ბავშვებისათვის ცენზურას, დაუშვებლად მიიჩნევს პირდაპირ ეთერში მათი ზნეობისათვის საზიანო გადაცემებს, სკოლამ, მით უმეტეს, შერჩევით უნდა შესთავაზოს ბავშვებს ლიტერატურა მათი ასაკის, სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით და თუ ბავშვს იმაზე მეტის წაკითხვა უნდა, არსებობენ სხვა ბიბლიოთეკები, პირადი ბიბლიოთეკებიც ოჯახებში, და იქიდან მათ შეუძლიათ წაიკითხონ რაც სურთ. ეს მათი უფლებაა. მაგრამ სკოლის მოვალეობაა სათანადო გარემო შეუქმნას ბავშვს, სწავლა-განათლების და არა თვითნებობის გარემო. ასეთი რამ დაუშვებელია პედაგოგიკაში და, როგორც ჩანს, ეს ავიწყდებათ „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს.

მოწაფეს აღსაზრდელს იმიტომ უწოდებენ, რომ აღზრდა სჭირდება, რაც გარკვეული თანმიმდევრული ცოდნის მიწოდების სისტემას გულისხმობს.

**— უნდა შეიტანონ თუ არა სკოლაში რელიგიური ლიტერატურა იმ დროს, თუკი ბავშვს არ ეძლევა სათანადო რელიგიური განათლება?**

— ასეთ შემთხვევაში, რა საჭიროა სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურის სკოლაში შეტანა? ბავშვს ეს შეუძლია შეიძინოს წიგნების მაღაზიის დახლებზე, მაგრამ სკოლა არ არის ვალდებული აღსაზრდელს შესთავაზოს ისეთი რამ, რასაც თვითონ არ ასწავლის. ეს არ არის მისი არც ფუნქცია და არც პრეროგატივა. მაგრამ თუკი მშობელს სურს თავის შვილს მისცეს დამატებითი ცოდნა ამ სფეროში, ეს მისი უფლებაა.

**— მამა გიორგი, უპირველესად რას უნდა ემსახურებოდეს სკოლის ბიბლიოთეკა?**

— სკოლის ბიბლიოთეკა იმ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობას უნდა ემსახურებოდეს, რაც სკოლის ფარგლებში წარმოებს. ეს არის სკოლის დანიშნულებაც, მაგრამ თუ უნდათ, რომ სკოლა ბალაგანი გახადონ, სხვა საკითხია... მაშინ იმას სკოლას ნუღარ დაარქმევენ.

**— ვფიქრობ, აქ საქმე მშობლის უფლებებსაც ეხება...**

— ეს არის სახელმწიფო საქმეში და, სხვათა შორის, მშობლის უფლებებში ჩარევაც. მთავარი დამკვეთი ხომ ამ შემთხვევაში მშობელია. მან მოიყვანა შვილი სკოლაში აღსაზრდელად და ის სკოლისაგან გარკვეული განათლების ცენზსაც ითხოვს. მაგრამ სკოლამ შესთავაზოს ის, რაც მშობელს არ უთხოვია, უკვე მისი უფლების დარღვევაა, მთავარი დამკვეთის უფლების დარღვევაა. მშობელს უფლება აქვს მათემატიკურ ან მუსიკალურ სკოლაში მიაბაროს შვილი და ბავშვს მუსიკალურ სკოლაში რომ სოფლის მეურნეობა ასწავლონ და, პირიქით, სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მუსიკას ასწავლონ, შეუსაბამობა იქნება...



— საინტერესოა, რომელმა ნაძირალამ უთხრა მამა კარლოს, რომ ჯვრის ტარება აკრძალულია?

**— სკოლაში იქნებ ქრისტიანი მასწავლებლის ჯვრის ტარების შესახებაც გვითხრათ ორიოდე სიტყვა...**

— რელიგიური ნიშანი, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი ატარებს, გამოხატავს მის აღმსარებლობას და დაუფარავი, გულწრფელი აღიარებაა სარწმუნოებისადმი. მაგრამ ეს არ არის პროპაგანდა. რადგან ეს არის მისი არჩევანი. მაგრამ, თუკი ყველას ავუკრძალავთ ნიშნის ტარებას, მაშინ ჩვენ ვაიძულებთ, რომ მათ ათეისტური „გამოსახულება" ატარონ, ანუ ურწმუნოება. ეს რა, არ არის ათეიზმის პროპაგანდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანს უნდა დავუტოვოთ არჩევანის უფლება, ეს კონსტიტუციითაც არის დაცული და ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

## მივიხედეთ სამცხე-ჯავახეთისკენ?!.



**საქართველოს ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას იწყებს.**

როგორც გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ბოლო 15 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად ინვესტიციები არ განუხორციელებია და ამ რეგიონში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ დაბალ დონეზეა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მიმდინარე წლისთვის ნინოწმინდის რაიონისთვის 600 ათას დოლარს, ხოლო ახალქალაქის რაიონისთვის 1 მლნ. დოლარს გამოყოფს. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება „ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ფარგლებში, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისთვის ათეულობით მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე გუშინდელ სხდომაზე საქართველოში ორი დღის წინათ სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის ვიზიტზეც ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, სექტემბერში გაიმართება სომხეთ-საქართველოს შორის სამთავრობო კომისიის სხდომა, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. პრემიერმა არ დააკონკრეტა, რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

## აგრილდება!..

**სინოპტიკოსთა პროგნოზით, თბილისში უახლოესი დღეების განმავლობაში შედარებით გრილი ამინდია მოსალოდნელი.**

სინოპტიკოსთა პროგნოზით, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჰაერის ტემპერატურა ერთი გრადუსით მოიმატებს. აგვისტოს მეორე ნახევარში კი საქართველოს მასშტაბით გრილი და ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი.

## დააკავეს უაქციზო სიგარეტი

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიულმა სამმართველომ გუშინ განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი დააკავა.**

რუსული წარმოების 15 ათასი კოლოფი „ვინსტონი", „ტროიკა", „იავა", „ალიანსი", „ნოვოსტი", „ვესტი" და სხვა დასახელების სიგარეტი ნანული პეტრიაშვილმა ცხინვალიდან კონტრაბანდული გზით ჩამოიტანა და თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში შესანახად მიაბარა.

ნანული პეტრიაშვილი უკვე ეჭვმიტანილად არის ცნობილი და მას 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიული სამმართველოს უფროსმა გოჩა ჭელიძემ განუცხადა, რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტის საქართველოში სარეალიზაციოდ შემოტანა საქართველოს ეკონომიკისთვის დივერსიის ტოლფასია.

ფინანსური პოლიცია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ 30 ივლისიდან ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგანგებო ცვლი-



ლებები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. შესაბამისად, ამ დროიდან უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციისა და ტრანსპორტირების ფაქტზე სასჯელი და სანქციები გამკაცრდება.

ინტერპრესნიუსი

## ხანძრის ჩაქრობა გაჭირდა...

**დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში ტყის მასივებს ძლიერი ხანძარი გაუჩნდა.** ცეცხლი ტყის სიღრმეში გაჩნდა, რის გამოც მეხანძრეებს სტიქიასთან ბრძოლა გაუჭირდათ. მეხანძრეებს დამატებითი გზების გაყვანა დასჭირდათ, რათა სახანძრო მანქანები შემთხვევის ადგილამდე მისულიყვნენ.

კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, ამჟამად ხანძარი მთლიანად ჩამქრალია.

ხანძრის ჩასაქრობად მეხანძრეებთან ერთად რეზერვისტებიც მუშაობდნენ.

## თურქ კაპიტანს ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა

**ფოთის საქალაქო სასამართლომ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავებული თურქული გემის კაპიტანს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

ქართველმა მესაზღვრეებმა გემი საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში, კერძოდ ბიჭვინთასთან 3 ივლისს დააკავეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გემი დაყადაღებულია, ხოლო 150 ათასი დოლარის ღირებულების პროდუქტი და სამშენებლო მასალა კონფისკაციას ექვემდებარება.

სწორედ ამ ტვირთის გადაცემას მოითხოვს აფხაზური მხარე, რის გამოც გასულ კვირას თბილისში დაგეგმილ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე მათ უარი განაცხადეს.

თურქი კაპიტნის დაცვის მხარეს ფოთის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ქუთაისის საოლქო სასამართლოში თოთხმეტი დღის განმავლობაში შეუძლია.

მედიანიუსი

⊙ მოგზაურის კვერთხი

# ჩვენებურები

## 8. „საქართველო გვესიზმრება და ჩუენი არნა იყოს?.."

**საჭესთან მაღალი, ახოვანი ვაჟკაცი ზის და ისე მიაპობს სტამბოლის ქუჩებში ტრაპიკებს (საცობებს), არაფის და არაფერს არ ერიდება. ხშირად აშკარად არღვევს მოძრაობის წესებს, ჟანდარმის შენიშვნებსაც არ ეპუება.**

— ამათ რომ ვუყუროთ, დღეს ჩვენ ტოპკაპამდე ვერ მივაღწევთ, — ამბობს ღიმილით. სწორედაც მისი მემედ ემინ ქაიამ-მაკარაძის დამსახურებაა, ჩვენ რომ იმ დღეს ულამაზესი სრა-სასახლეები მოვიარეთ.

მემედ ემინ ქაიამ მაკარიძის წინაპრები შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურიდან ჩამოსახლებულან ბურსის გუბერნიის, ინეგოლის რაიონის სოფელ თუფექთი ქონაქში 1877-78 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ.

მემედ-ბეის სუფთა სისხლის ქართველი მეუღლე ჰყავს ფატი დუმბაძე. მასაც კარგად სცოდნია ქართული.

ოთხი შვილი ჰყავთ, ორი ვაჟი და ორი გოგონა. იასემინმა და ერსინმა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრეს.

ერსინმა კარგად შეისწავლა ქართული, მამის კვალს გაჰყვა, სამხედრო აკადემიაში მაღალჩინოსანია. იგი ამავე დროს შესანიშნავი თარჯიმანია და დიდად ეხმარება ქართველ ჯარისკაცებს სამხედრო წვრთნაში. ნარგიზამ — ნურანი ქაიამ — ივ. ჯავახიშვილს სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, უმცროსი ქალიშვილი ლემანი კვიპროსში სწავლობდა, იგი დიზაინერია, იასენი თუმცა მასაც ჰქონდა წოდება, სამხედრო საქმეს მაინც არ გაჰყვა, იგი დღეს ერთი დიდი, წარმატებული ფირმის მენეჯერია.

მემედ-ბეის 35 წელიწადი ჟანდარმერიაში უმუშავია, პენსიაზე გასვლის წინ კი ამ უბნის ჟანდარმერიის უფროსი ყოფილა. ეს უბანი კი მთელი საქართველოს ხელაა, ისე რომ ჩვენებურად აქაურობის მინისტრი ყოფილა. დღემდე ახსოვთ მისი დამსახურება, დიდ პატივს სცემენ, ფეხზე წამოუდგებიან. მემედ-ბეის გვერდში ისე დაცულად და ლაღად ვგრძნობდით თავს. იგი არც მუზეუმების უზარმაზარ რიგს ეპუებოდა, ერთი ახალგაზრდა ჟანდარმის, რომლის სახელი აღარ დამამახსოვრდა, დახმარებით წუთში აგვარებდა ყოველგვარ პრობლემას.

ყველასგან გამოირჩეოდა მემედ-ბეი. ჩვენი თარჯიმანიც ის იყო იმ დღეს. თავისი ქართულით ცდილობდა ყველაფერი ეთარგმნა, რასაც გიდები ჰყვებოდნენ. ზოგი სიტყვის მნიშვნელობა არ გვესმოდა, მაგრამ შინაარსს მაინც ვხვდებოდით.

თაკარა მზე უმოწყალოდ გვაჭერდა, ერთიანად გახვითქული მემედ-ბეი მზესაც არ ეპუებოდა, ჩვენც მორჩილად მივყვებოდით, ვცდილობდით არ ჩამოვრჩენილიყავით. ხშირად გვიღებდა სურათებსაც.

თეთრი მარმარილოთი მოკირწყლულ ჭადრებით დაფარულ ფართო გზას, რომელსაც სულთნის სასახლეში შეყავხართ, დღემდე ამჩნევია ცხენების ფლოქვების ნაკვალევი.

— აი, ამ ნაფეხურებს ხომ ხედავთ, აქ გიორგი სააკაძის ცხენის ნაფეხურებიც ამჩნევია, — იცით რა კაცი იყო გიორგი? — ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოატანაო, — გვითხრა მემედ-ბეიმ.

ბოლოს ერთი ფანჩატურის ქვეშ მიგვიპატიჟა, ახალგაზრდა ჟანდარმს ჩაი მოატანინა და ოსმალეთში გიორგი სააკაძის ამბავი გვიამბო.

გიორგი სააკაძე 1626 წელს თავის მხლებლებთან ერთად ბათუმიდან წამოსული გემით მოადგა ზღვის პირს. მაშინ, ფადიშაჰ მურად მე-4 მოადგილე უფროსი ვეზირი მემედ ფაშა — ქართველი იყო, ზღვის პირზე მიეგება გიორგის. ოსმალოს ჯარებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. მთავარმა ვეზირმა მურად მეოთხესთან მიიყვანა სააკაძე. მეფე კარგად შეხვდა. იმ ღამეს თავი მოუყარეს აქაურ ქართველებს, დამკვრელები მოიყვანეს, ლხინი გამართეს. მეფემ იცოდა, გიორგი დიდი სარდალი იყო, ამიტომ პატივით მიიღო. აქა ამ სასახლეში ერთ წელიწადს იყო. მურად მე-4 ძალიან მოსწონდა. ამის სახელი თურქულად იყო „მავლუნ ჰანი". ამას ერთად წავიდნენ ერაყში ბაღდადში საომრად. ირანის ჯარებთან ომი გადაიხადეს, იქიდან ერევანში მოვიდნენ. ომი ქნეს. აქ მოსვლამდე ერთად იყვნენ. გიორგის საპატივცემულოდ ტოპკაბში კოშკი ააშენეს. მეფეს ძალიან უყვარდა გიორგი. თოქათის მერი გახდა გიორგი. ეს ადგილი მურად მეოთხეს დის ფათმა-სულთანის ქმარს უნდოდა, ერთ ღამეს თოქათში მივიდნენ ჯართან ერთად, ტერორისტულად, გიორგის სახლი დაწვეს. მის ცოლს ერქვა მაქინა. ნუგზარ ერისთავის ქალიშვილი იყო. მათთან ერთად ვინც იყო, ყველა დაიწვა. მეოთხე მურადი ძალიან გაბრაზდა. მისი სიძე კოჭლი რეჯები, თავის და ფათმა-სულთანი და მათი თანამოაზრეები შეთქმულების მონაწილენი სიკვდილით დასაჯა.

— მე ქართველი ქალს ძალიან დიდ პატივსა ვცემ, — უცებ სხვა საკითხზე გადავიდა მემედ-ბეი.

ხომ იცი, შაჰ-აბასის კისერის მომჭრელი არის ქართველი ქალი — სარო. გიორგი სააკაძე უყვარდა თურმე საროს. ქართველმა ქალმა იძია შური.

ისე იცი, რას გეტყვით, ქართველი ხალხი საქართველოს ისტორიას არ სწავლობენ, არ იკითხავენ, ბევრი რამ არ იციან, საქართველოს ფასი უნდა იცოდნენ დღევანდელმა ქართველებმა. საქართველოს მიწა სისხლით არის მორწყული, ირანელებმა დიდი სისხლი დააქციეს.



ისეთი სიამაყით ჰყვებოდა მემედ-ბეი გიორგი სააკაძის დამსახურებაზე, არ შეიძლებოდა, ეს გრძნობა შენც არ გადმოგდებოდა.

ვისხედით რამდენი ქარტეხილების მომსწრე ათასწლოვანი ჭადრის ხეების ჩრდილში და სულგანაბული ვუსმენდით ოსმალეთში დაბადებულ და გაზრდილ ქართველს, რომელსაც თავისი ქართველობა ეამაყებოდა და ვფიქრობდი, ვინ იცის, რამდენ ქართველ მანდილოსანს და ვაჟკაცს უმსახურია სულთნის კარზე და სამშობლოს ნახვის ნატვრაში ამოხდენია სული.

**— მემედ-ბეი, აქაურ ქართველებზე გვიამბეთ რამე?**

— რა გითხრა, იცი? ჩვენ თურქეთელების პირველი ხალხი ვართ. თუ რამე გასაკეთებელი საქმეა, ჩუენ ვართ იქა — აგერამ მემლექეთში გურჯინა იყო, რომე საქმე გაგიკეთდესო, — ასე იტყვიან თურქეთში. ჩვენ მაგარი ხალხი ვართ, ერთმანეთს დევკავეფთ. ჩუენ ერთმანეთი რომ არ დევიკავოთ, დაქვფუჭვენ. ჩვენა რომენ თურქეთის პირველი ხალხი ვართ, ეს იციან ყველამ აქა. ჩუენი დერნეგები (გაერთიანებები) გუაქ: კავკაზ დერნეგი, ბათუმი დერნეგი, საქართველოსი დერნეგები. ერთმანეთს ვეხმარებით. ვთქვათ, თოქათიდან ჩამოდის ქართველი, ვერ აკეთებს საქმეს, მე გუუკეთებ ჯარის საქმეს, სხვა გუუკეთებს სხვა საქმეს, ასე ვიკავეფთ ერთმანეთს...

მე ერთ გენერალს საქართველოს ისტორია მივეცი და სამ დღეს იკითხა ის წიგნი სამ დღესა. უკან მოიდა წიგნი მაგიდაზე დადვა და მითხრა: — შენ ეს მითხარი ქი, მე გურჯი რაფერ გავხდები, ეს გურჯი კაი ხალხი არიან. ძალიან მომინდა ქი, გურჯი გავხდეო.

მილიონი წელი რომ მევიდეს, ვერ გახდები გურჯი-მეთქი, სისხლი არ შეიცვლება-მეთქი, ვუთხარი და ვაწყინე კაცსა. თურქებსა ჩვენთან დამოყვრება, დახისიმება (დანათესავება) ზოვლიან (ძალიან) გუეხარდებიან. სულ იმას ელტვიან, რაცხაფერ ჩუენიდან ძალი ითხოვონ, ან ჩუენი ბიჭი სიძეი გეიხადონ. ჩვენ იმფოი შორ-შორ ვიარებით ამ საქმიდან. ჩვუენა სუფთა ქართველი ვართ, სისხლი არ შეგვირევია სხვა მილეთის ხალხში.

**— პირველად როდის ჩამოხვედით საქართველოში?**

— ასშუიდი წლისა იყო ჩემი ნენეი, ჩემ ბაბოსი დედა, შუბნის სოფლიდან. გურჯისთანში რომ ჩამოვედი ეველ და მევიარე ნენეს ნამყოფი იერები, დევნახე ნათესავები, საფლავებიც ვნახე ძველი. ჩემ ნენესა ისე დაპაწავებული ქონდა გული, რომ იმათთან საქართველოსა ვერ გავახსენებდით, იტირებდა და იტირებდა. ამითვინ ვერიდებოდით. აქაურობას ხსენებასა ნენემ, ისე მოკდა, თურქის ენა არ დეისტავლა, არ იცოდა.

**— მემედ-ბეი, მოგეწონათ საქართველო?**

— გურჯისტანში მომწონდა ყველაფერი, კაი დღეები მიეცეს ღმერთმა მემლექეთსა. საქართველოით ჩუენ ვიზრდებით თურქეთში, ჩუენ ქართველ ხალხი ქყუავს, თვალებში ვერავინ ჩაგვხედავს. მინდა რომ საქართველოს ხალხსა გულში რაცხა აქ, ის მისცეს ღმერთმა, ჩუენი დედიების სისხლით მოზელილი მიწა კარგად იყოს. გვინდა, რომე საქართველო მისით იყოს, ერთი იყოს, არ გარიგდენ, არ წეიკინტლონ, ერთი კაცი გამოიყუანონ თავში. გიორგი სააკაძის დროშა რომე იყო, ისე არ იყოს. ერთთან იყოს ქართული ხალხი.

**— გული თუ გწყდებათ რამეზე?**

მარტოლაი კაცი მარტინა მოკვდეს? არ იქნა ესა!

„გაუმარჯოს ქრისტიან საქართველოსაო". დევნახე დაწერილი.

ჩუენ რას გვებნებით, თურქეთში მილიონ ქართულსა, საქართველო ჩუენი არნა იყოს?

საქართველოსა სიზმარში ვნახულობთ, საქართველო გვესიზმრება და ჩუენი არნა იყოს?

ეს არ გამოდის კარგა!

ჩუენი რა სუჩია (ბრალია) რომე მუსულმანი გავმხდარვართ. მაშინ დროს მოუტანია მუსულმანობა ჩუენი ძველებისთვის.

ჩუენ რა ვქნათ ახლა? გურჯისტანში აღარ მიგვიშვაინა?

მე ჩემი გოგო-ბიჭი თბილისში დავტიე, უნივერსიტეტში. ქართულად მინდა გეიზარდონ. საქართველოს ისტორია ისწავლონ, თამარ მეფით, დავით აღმაშენებლით, გიორგი სააკაძით იხარონ და იჯიბრონ (თავი მოიწონონ). საქართველო ჩვენიც იყოს.

საღამოს ვემშვიდობებით მემედ-ბეის, ვებოდიშებით, ამდენი დრო რომ წავართვით და დავღალეთ. გულში ჩამებეჭდა მისი სიტყვები: თქვენთვის დაღლა, ჩემთვის აშენებააო, რომ გვითხრა, გულში ჩაგვიკრა და თვალცრემლიანი დაგვცილდა.

მარადი ანასაშვილი

სულიერება

# მიაჩრიან ახლა ბავშვებს სექტანტურ ლიტერატურას...

(მესამე გვერდიდან)

ადამიანი ჯვარს ატარებს თუ ექვსქიმიან ვარსკვლავს, მისი პირადი საქმეა, მაგრამ თუ ის იწყებს უკვე პროზელიტიზმს სკოლაში, მას უნდა მიხედოს სკოლამ, მშობლებმა, პედაგოგთა საბჭომ და ადგილზე უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი...

**— ანუ, თქვენი აზრით, მისაღებია თუ არა განათლების შესახებ კანონის ის პუნქტი, სადაც სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნების ცენზურაზე დაუშვებელია საუბარი?**

— ნუ გვაშინებენ სიტყვა ცენზურით. თუ ამ ცენზურის უკან დგას გონიერი პედაგოგის გულისხმიერი პოზიცია, რომელმაც იცის ბავშვს რა სჭირდება ასაკის მიხედვით, ის ცენზორი კი არ იქნება, არამედ თავისებური წინამძღოლი წიგნის სამყაროში. ზედა კლასებში კი, როცა პროგრამაში იქნება მსოფლიო რელიგიების შესწავლა, შესაბამის ლიტერატურასაც გაეცნობიან.

**— სხვათა შორის, დღეს საქართველოში ზოგიერთი ორგანიზაცია თუ სექტა იმასაც ქადაგებს, რომ ადამიანი ოცი წლის ასაკამდე არ უნდა მოინათლოს, რათა შემდეგ თავად აირჩიოს შესაფერისი რელიგია, რაც, ვფიქრობ, მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ყოვლად დაუშვებელია...**

— ასეთი აზრი ქრისტიანულ პერიოდში ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან არსებობდა, მაგრამ თვითონ ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე ნათლობისთვის ემზადებოდნენ, ხშირად ისეთ განსაცდელში ჩავარდნილან, და ეს ჩვენ ვიცით მათი პირადი ცხოვრებიდან, მათი გადმოცემებიდან, რომ ამ განსაცდელის ჟამს ისინი მოუნათლობას ძალიან ნანობდნენ და ევედრებოდნენ უფალს, ოღონდ ახლა გადამარჩინე და აუცილებლად მოვინათლებიო. რატომ უნდა ჩავაგდოთ განსაცდელში ჩვენი ბავშვები?

ბავშვის ნათლობა სათავეს ძველი წელთაღრიცხვიდან, ძველი აღთქმის ეკლესიიდან იღებს, როცა ჩვილის დაბადების მერვე დღიდან წინადაცვეთის წესს ასრულებდნენ და ამით ის უკვე ძველი აღთქმის ეკლესიის წევრი ხდებოდა. ეს იყო ნიშანი, რომლითაც ღმერთმა უთხრა აბრაამს, ამით იქნება თქვენი ერი ჩემს წინაშე გამორჩეულიო...

მერვე დღიდან სახელდების ტრადიცია ჩვენს ეკლესიაშიც არსებობს, რადგან იგი ძველი აღთქმის ეკლესიის მემკვიდრეა და შესაბამისად, ნათელღება უძველესი პატივისცემაა უფლისადმი. უფალი ჩვილ ბავშვებსაც ღებულობს, უპირატესად, მათ აძლევს მადლს. მცირე ასაკიდან ნათლობა პირველ საუკუნიდანვეა მიღებული ქრისტიანულ ეკლესიაში, თუმცა, შეიძლება განსხვავებული, კერძო აზრიც არსებობდეს, და ამ კერძო აზრის დღეს დაკანონება, როდესაც ამას გვთავაზობენ არაეკლესიური გარემოდან, არის ჩარევა შიდაეკლესიის საქმეებში და აგრეთვე, ქრისტიანი მშობლების უფლებებში. ეს უტიფარი განცხადებაა.

**— არის თუ არა ქართული ეკლესია მზად იმისათვის, რომ გაუმკლავდეს ათასი ჯურის ცრუწინასწარმეტყველს, მომძლავრებულ სექტებს, რომელთაც უკვე შეძლეს მართლმორწმუნე ადამიანების გადაბირება. ქართული ეკლესია შედარებით ღარიბია, ზოგ სექტას კი დიდძალი ფული აქვს, რითაც უამრავ გაჭირვებულ ადამიანს აცდუნებს...**

— საქართველოს ეკლესიამ ბევრ რამეს გაუძლო და კიდევ გაუძლებს იმიტომ, რომ ეკლესია ღვთის დადგენილია და არა ადამიანის მოგონილი. უფალი განაგებს ცხოვრებას. ის, რომ დღეს ზოგი სექტაში მიდის, სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ თუკი თვალს გადავავლებთ რეალობას, დავინახავთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ნდობას უცხადებს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს. მადლობა უფალს, რომ ეს ასეა.

**— ადრე ქართველ ბავშვებს ღვთისმეტყველებასაც ასწავლიდნენ. შემდეგ ერთი საუკუნე უღმერთოდ ვიყავით. უნდა ისწავლებოდეს თუ არა დღესაც სკოლაში ღვთისმეტყველება?**

— გავიხსენებ უდიდეს ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, იგი ავტორია „დედა ენისა“, რომლის ერთ ნაწილსაც „საღვთო ისტორია“ შეადგენს. მსოფლიო მასშტაბის სხვა უდიდესი პედაგოგების მსგავსად გოგებაშვილიც თვლიდა, რომ რელიგიური აღზრდა ზნეობრივი აღზრდის საფუძველია. ჭეშმარიტი რწმენის გარეშე კი ზნეობრივი აღზრდა შეუძლებელია, რადგან არა აქვს სათავე, საწყისი, ჰაერშია გამოკიდებული. დაწყებით კლასებში სახელოვანმა პედაგოგმა მოგვცა სწორედ ეს სახელმძღვანელოები, შემდგომ კლასებში კი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს, გამოცდილებას ვეყრდნობით.

ამჟამად, საპატრიარქოსთან 20-ზე მეტი სკოლა არსებობს, სადაც „საღვთო სჯული“ ისწავლება კლასების შესაბამისად, სირთულის მიხედვით. აქ ბავშვები სხვა თანატოლებივით სწავლობენ დანარჩენ საგნებს. ისინი არაფერში არ იზღუდებიან. პირიქით, მათ ეძლევათ ცხოვრების ორიენტირი, რომ გაარჩიონ სიცრუე ჭეშმარიტებისგან, სიცოცხლე — სიკვდილისგან, სიწმინდე — ურჯულოებისგან...

ვალდებულნი ვართ, სწორი ორიენტირი მივცეთ ბავშვებს, ძალადობის გარეშე. ამიტომაც ჩვენს სკოლებში სიარული ნებაყოფლობითაა.

**— მონაწილეობთ თუ არა პარლამენტის განათლების კომიტეტის მუშაობაში?**

— მე პირადად მომიწია იქ სიტყვით გამოსვლა. მიკვირს, რატომ უნდა აღმოჩნდეს განათლების სამინისტრო „თავისუფლების ინსტიტუტის“ დიქტატის ქვეშ, მისი კარნახით აკეთებდეს ყველაფერს და არ ისმენდეს ეკლესიისას? მიუხედავად ამისა, მაინც არ ვკარგავთ იმედს, რომ საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს შორის დიალოგი გაგრძელდება. წლის დასაწყისში ხელიც მოვაწერეთ მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. შეიქმნა ერთობლივი კომისიაც, რომელიც შეთანხმებაზე იმუშავებს. მწამს, ათეიზმის პერიოდში შექმნილ ფსიქოლოგიურ ბარიერს, ადრე თუ გვიან, დავძლევთ და ურთიერთგაგებას მივაღწევთ...

ესაუბრა
**ლია ჭიღლაძე.**

საზაფხულო ბანაკები

# «მზიანეთი» ვარკეთილის დასახლებაში

**ივლისის დასაწყისიდან თბილისში სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის შემეცნებითი-გასართობი ბანაკები შეიქმნა. მათზე თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური მზრუნველობს. სულ 6 საზაფხულო ბანაკია: „ცისარტყელა“, „მზიური“, „წიქარა“, „მზიანეთი“, „არგო“ და „იმედი“. ისინი დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის რაიონებშია განლაგებული.**



ბანაკში დასვენება ორ ნაკადად მიმდინარეობს; თითოეული 14 დღე გრძელდება და 50 ბავშვი ისვენებს. ამ პროექტით დედაქალაქში სულ 550 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვი ისარგებლებს. ისინი სოციალურად დაუცველი, ობოლი, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებია. ასეთი ბავშვების შერჩევა სკოლის ხელმძღვანელების მიერ მშობელთა განცხადებების საფუძველზე ხდება. ბანაკებში ბავშვები დილის 10 საათზე ცხადდებიან და დღის ბოლომდე რჩებიან. გვესაუბრება ვარკეთილის დასახლებაში არსებული ბანაკის „მზიანეთის“ დირექტორი ლამზირა მელქაძე:



— საზაფხულო ბანაკები მოსწავლე ახალგაზრდების სახლების ბაზაზე შეიქმნა. დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება, შემდეგ მას მოჰყვება ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები, სამეჯლისო ცეკვები, მუშაობს საბავშვო თეატრი და სხვა. ბავშვები „არჩევანი-არადანის“ პრინციპით 3 გუნდად არიან დაყოფილი: „ათინათი“, „სხივი“ და „ლილეო“. გუნდებს შორის მუდმივი შეჯიბრია გაჩაღებული და ბავშვებიც ინტერესით ეკიდებიან ყველა დავალებას. 14 დღე ძალიან ცოტა დროა, მაგრამ მაინც კარგია, რომ ბავშვები ისვენებენ. თითოეული ბანაკისთვის 5242 ლარია გამოყოფილი. ეს თანხა ძირითადად ბავშვების კვებისთვისაა გათვალისწინებული. კვება ორჯერადია. მენიუ ყოველდღე ხორციან კერძებს შეიცავს. ხდება ბავშვების სამედიცინო შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობაც ენიშნებათ. მალე ბავშვებს მცხეთაშიც წავიყვანთ.

დედაქალაქის სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისთვის გათვალისწინებული საზაფხულო ბანაკების მუშაობა 11 აგვისტომდე გაგრძელდება.



**სოფიო გოგლიძე,**
**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი-პრაქტიკანტი.**

ინფორმაცია

## დაიბრუნებენ კუთვნილ ქონებას ქართველი დევნილები?

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშთან გამართულ თათბირზე აფხაზეთში ქართველ დევნილთა მიერ კუთვნილი ქონების შესაძლო დაბრუნების საკითხი განიხილეს.

თათბირში სეპარატისტული სოხუმის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე ბაღაფში გამოეხმაურა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების განცხადებებს, რომ ზოგიერთ ქართველ დევნილს აფხაზური სასამართლოების გადაწყვეტილებით აფხაზეთში საცხოვრებელი ფართი დაუბრუნდა.

მისი თქმით, სამიგრაციო პროცესებს სპეციალურად უფლებამოსილი სამსახურები მკაცრად აკონტროლებენ.

„საზოგადოება შეშფოთებულია და ეს სავსებით გასაგებია: ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მართლაც აქვს თუ არა ადგილი ამგვარ ფაქტებს, რაც პროკურატურამ უნდა შეისწავლოს“, — აცხადებს სერგეი ბაღაფში.

თათბირზე რაიონული ადმინისტრაციებისა და სოხუმის მერიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ 2005 წელს ქართველი დევნილებისთვის საცხოვრებელი ადგილების დაბრუნების შესახებ ადმინისტრაციაში სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება არ შესულა. ამასთან ბაღაფშმა ადმინისტრაციების ხელმძღვანელები გააფრთხილა იმ პასუხისმგებლობის თაობაზე, რაც საცხოვრებლის გაფორმებას უკავშირდება.

„სამწუხაროდ, საბინაო საკითხი უკანონო ბიზნესად გადაიქცა. ამ ბიზნესთან კავშირი ადმინისტრაციების თანამშრომლებს, მათ შორის, ხელმძღვანელებსაც ჰქონდათ“, — განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა.

ამ საკითხისა და მიგრაციული პროცესის განხილვის შემდეგ ბაღაფშმა გამოსცა განკარგულება „გადაუდებელი ზომების შესახებ კანონმდებლობის დაცვის მიზნით, რომელიც აწესრიგებს აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესვლის, გასვლისა და ცხოვრების საკითხებს“.

ამ განკარგულებით სეპარატისტთა მთავრობას და სახელმწიფო უშიშროების სამსახურს დაევალა, შეიმუშაონ და მიიღონ ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც აფხაზეთში დსთ-ს მოქალაქეთა რეგისტრაციის წესებს განსაზღვრავს. ანქვაბს განკარგულების შესასრულებლად დაევალა კვირის მანძილზე ღონისძიებების გეგმის შემუშავება იმ თანამდებობის პირთა განსაზღვრით, რომლებიც გეგმის შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი.

## ბაღაფში ცხინვალში ჩასვლას გეგმავს

**აფხაზეთისა** და „სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებული რესპუბლიკები მზად არიან, უახლოეს მომავალში მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ დიდ შეთანხმებას მოაწერონ ხელი. ამის შესახებ გაგრაში აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერებმა სერგეი ბაღაფშმა და ედუარდ კოკოითმა მოილაპარაკეს.



„მზად ვართ, უახლოეს მომავალში ხელი მოვაწეროთ დიდ შეთანხმებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, — აცხადებს ბაღაფში.

მისივე თქმით, შესაბამისი სამსახურები ამგვარ დოკუმენტს უკვე ამზადებენ. შეთანხმების ხელმოწერა აფხაზეთის ლიდერის ცხინვალის რეგიონში ვიზიტის დროს მოხდება.

## ქართული მხარე რუსეთისგან თანამშრომლობას ელის

**ქართული** მხარე გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთის კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ აუცილებელ დახმარებას ქართველ კოლეგებს იმ პირების დაკავებაში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებაში“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველო კონფრონტაციით და ცხინვალის რეგიონში, აგრეთვე ქართულ-რუსულ ურთიერთობებში სიტუაციის დაძაბვით არ არის დაინტერესებული. საქართველო მზად არის თანამშრომლობისათვის და რუსეთის მხარისგან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ელის.

როგორც ცნობილია, ქართულმა სპეცსამსახურებმა ქ. გორში ა. წ. 1 თებერვალს განხორციელებული ტერორისტული აქტი გახსნეს. ტერაქტის შედეგად დაიღუპა საქართველოს პოლიციის სამი თანამშრომელი და 13-ზე მეტმა მშვიდობიანმა მოქალაქემ მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება.

დაკავებული არიან გორში მომხდარი ტერორისტული აქტის უშუალო შემსრულებლები, ასევე დადგენილია დივერსიული ჯგუფის სხვა წევრთა ვინაობა, რომლებმაც 2004 წლის შემოდგომაზე განახორციელეს საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების სერია.

სპეცსამსახურების მონაცემებით, ხსენებული დივერსიული ჯგუფი გადიოდა მომზადებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, შესაბამისი მასალები გადაეცა რუსული მხარის ოფიციალურ წარმომადგენლებს.

## პარლამენტში ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდება

**პარლამენტში** სექტემბრის ბოლოს ვაკანსიების შესავსებად კონკურსი გამოცხადდება.

როგორც საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ოფიციალურად კონკურსი 5-6 სექტემბერს გამოცხადდება და თვის ბოლოს ჩატარდება.

ბურჯანაძის თქმით, პარლამეტში მუშაობის დაწყების შანსი ყველა პროფესიონალს მიეცემა.

მედიანიუსი

ინფორმაცია

## ვანო მერაბიშვილი მადლობებს იღებს



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაციებისთვის მადლობას უხდის.

როგორც მან მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ერთი წლის წინათ ვერავინ იფიქრებდა, რომ შს სამინისტროში უახლოეს პერიოდში ასეთი პროგრესი იქნებოდა მიღწეული, მაგრამ ბოლო პერიოდში ქვეყანაში წარმატებული სპეცოპერაციები ჩატარდა.

„მინდა მადლობა გადავუხადო ამისთვის ვანო მერაბიშვილს და შს სამინისტროს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც ამ ოპერაციების დაგეგმვაში მონაწილეობდნენ“, — განაცხადა ნოღაიდელმა.

## უფრო მასშტაბური აქციებით იმუქრებიან

**ელექტროენერგიის** მიწოდების მოთხოვნით წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, 2 თვეა, რაც სოფელში ელექტროენერგია დღე-ღამეში მხოლოდ ერთი საათით მიეწოდება.

მოსახლეობის თქმით, სოფელზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი გადის და ამიტომ, მათ ელექტროენერგია შეღავათიანი გრაფიკით უნდა მიეწოდებოდეთ.

ამგვარი გრაფიკი წალენჯიხის ორ სოფელს, ლიასა და ჯვარს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად გიგი უგულავას მუშაობის დროს დაუწესდა, თუმცა, მოსახლეობის თქმით, გრაფიკი მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში იყო დაცული.

აქციის მონაწილეებმა გუშინ ზუგდიდი-წალენჯიხის მთავარი ავტომაგისტრალი გადაკეტეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ისინი უფრო მასშტაბური აქციების მოწყობით იმუქრებიან.

ინტერპრესნიუსი

## რა გასაკვირია — დასაქმება უნდათ

**თბილისის** მერიისა და საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსს უკვე მრავალრიცხოვანი მონაწილე ჰყავს.

როგორც თბილისის მერმა გიგი უგულავამ „მედიანიუსს“ განუცხადა, მისი ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობის მიზნით განაცხადი 2000-მდე მოქალაქემ უკვე შეიტანა. ყველაზე მეტი მოთხოვნილება საქალაქო სამსახურებსა და აპარატებში გამოცხადებულ ვაკანსიებზეა.

როგორც გიგი უგულავა ვარაუდობს, კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა 30 ივლისისთვის სავარაუდოდ 5 ათასამდე გაიზრდება, რადგან „საქართველოში, ტრადიციულად, ამა თუ იმ კონკურსში განაცხადების შეტანის პროცესი ბოლო წუთებში აქტიურდება ხოლმე“.

მედიანიუსი

განსჯა

# მაფიოზებს ფიზიკურადაც უნდა ვებრძოლოთ და პოლიტიკურადაც

**ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის ხმები ადგილობრივი ორგანოების არჩევის შესახებ, ხალხმა აირჩიოს ქალაქების მერები და რეგიონების გუბერნატორებიო. დიდი ხანია, ევროსაბჭო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ საქართველოში თვითმმართველობის დაფუძნებას და განვითარებას. მიუხედავად ამისა, ჩვენთან არ ჩქარობენ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. არადა, ქვეყანაში უნდა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ ორგანოებს გადაეცემათ ძალაუფლება.**

აშშ-ში თითოეულ შტატს ჰყავს არჩეული გუბერნატორი და ქალაქის მერი. მათ დაქვემდებარებაშია საჭირო სამსახურები, დაწყებული სამეურნეო-საფინანსო სტრუქტურებით და დამთავრებული სამართალდამცველი ორგანოებით, რომლებიც ასრულებენ ფედერალური ხელისუფლების მითითებებს და თავიანთი აქტიური საქმიანობით წვლილი შეაქვთ საერთო საკითხების გადაწყვეტის საქმეში. ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და გადაჭარბება ხდება შტატებისა და ქალაქების შენატანებით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ფუნქციონირებენ გამოძიების ფედერალური ბიურო, ფედერალური სასამართლო, პროკურატურა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სხვა დანაყოფები, თითოეულ შტატში და ქალაქშია შესაბამისი რგოლები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხებს.

ასეა ყველა დემოკრატიულ, სამართლებრივ და ცივილიზებულ ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, იმედია ჩვენი ხელისუფლება გამოიყენებს მათ მიერ დიდი ხნის წინათ აპრობირებულ და დაფუძნებულ სახელმწიფოს მართვის მეთოდებს, შესაბამისად მოახდენს ქვეყნის ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. უნდა დაიხვეწოს საქართველოს კონსტიტუციაც. აქ, მთავარი და ძირითადი გადასაწყვეტი ის არის, რომ დადგინდეს და რეგიონებს მიეცეს გარკვეული სტატუსი, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული იქნეს რეგიონების დაქვემდებარება-დამოკიდებულება ცენტრთან, რომ დაფიქსირდეს მხარეების მართვის სისტემა, რომლის მთელი სიმძიმე გადავა უშუალოდ გუბერნატორებზე და მათ შესაბამის სამსახურებზე. ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის წინსვლას...

დრო მიდის, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ სიდუხჭირეშია. სამწუხაროდ, მდგომარეობა სასიკეთოდ არ იცვლება. აქედან გამომდინარე, ვეკითხები ჩვენს ჩინოვნიკებს, — კონკრეტულად რას აკეთებთ საიმისოდ, რომ ქვეყანა და ხალხი გამოიყვანოთ გაუსაძლისი მდგომარეობიდან?

მოვუწოდებ ყველას, — როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, — თავი დაანებეთ პოპულისტურ, დემაგოგიურ და არაფრის მომტან გამოსვლებს, ერთმანეთის კრიტიკას, ქიშპობას, საქმეების გარჩევას, მუშტი-კრივის გამართვას. თქვენი ამომრჩევლები გაოგნებული არიან და მაინც, თვლიან, რომ ყველანი ერთნაირად და თანაბრად აგებთ პასუხს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. არადა, ზოგიერთები, რომლებიც პარლამენტის სხდომებზე სიტყვებით გამოდიან, ნაცვლად ჩამოყალიბებული, გააზრებული, გონივრული, საქმიანი და სასარგებლო წინადადებების და რეკომენდაციების წამოყენებისა, ერთმანეთს ეკინკლავებიან. ხანდახან პარლამენტის სხდომები საბავშვო ბაღში ანცების თამაშს, უფრო მეტიც, ქუჩაში ხულიგნების ჩხუბს ემსგავსება. ყოველივე ამას ტელევიზიით აჩვენებენ და ხედავენ არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ალბათ, ესეც ჩვენთვის სანატრელი „დემოკრატიისა და თავისუფლების“ ნაყოფია.

თუ გვინდა, რომ საქართველოს პარლამენტში არ დავუშვათ პოლიტიკური ავანტურისტები, კლანურ-ნათესაური და მაფიოზური დაჯგუფებების წევრები, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და ბიზნესის თაღლითი წარმომადგენლები, ადრე კორუმპირებული და ნასამართლევი ხალხი, მაშინ მომავალში პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით. სწორედ ასეთ შემთხვევაში ეცოდინებათ ამომრჩევლებს, თუ ვის ირჩევენ და რისთვის ირჩევენ.

მაფიის სამშობლოში, იტალიაში მაფიოზებს უსწორდებოდნენ რეპრესიებით, დატუსაღებით და ა. შ. მაგრამ შემდგომში იტალიის მოსახლეობის უმრავლესობამ რეფერენდუმში ხმა მისცა ქვეყნის სენატის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებას, რის შედეგადაც მაფიოზებს სასტიკი ლახვარი ჩასცეს. ვერც ერთი მაფიოზი სენატში ვერ მოხვდა. არადა, „კოზა ნოსტრა“ და „კამორა“ ძალზე გვანან ზღაპრულ დრაკონს, რომლის ერთი მოჭრილი თავის ნაცვლად სამი ამოდის და უფრო მრავლდება. არ არის საზოგადოების არც ერთი ფენა, სადაც ამ კრიმინალურ რვაფეხას კავშირები არ ჰქონდეს. ამიტომ მაფიოზებს არა მარტო ფიზიკურად უნდა ვებრძოლოთ, არამედ პოლიტიკურადაც...

იმისათვის, რომ დავძლიოთ გაჭირვება, განვიკურნოთ სატკივრებისგან და დროულად გამოვიდეთ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან, უნდა მოხდეს ერისა და ბერის გაერთიანება, კონსოლიდაცია. ოპოზიციაც უნდა შეიკრას ერთ მუშტად, რათა საკადრისი სახელიც მოიპოვოს და პოზიციასაც სათანადო ცეცხლი შეუნთოს.

**გურამ ჩხიკვაძე**

პოლიტიკური მიმოხრის ენა

# თუ ერთგან ტაშს დაგიკრავენ, მეორეგან ცხვირ-პირს დაგიმტვრევენ

**სახელმწიფოთა მეთაურებს, საერთოდ, მაღალი რანგის მოხელეებს, ხშირად უხდებათ მოგზაურობა, მივლინებებში ყოფნა. ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე სიტყვებთან ერთად ისინი ხმარობენ ხელებს, თვალებს, თითებს და ა. შ. სწორედ აქ მართებთ მათ ყველაზე დიდი დაფიქრება, რადგან ესა თუ ის ჟესტი, პოზა ან მიმოხრა, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად აღიქმება. ზოგიერთი ჟესტის გამო თუ, მაგალითად, ამერიკაში ტაშს დაგიკრავენ, იმავე ჟესტისთვის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ცხვირ-პირს დაგიმტვრევენ. ასეთ ჟესტს განეკუთვნება ე. წ. რგოლი, რომელიც იქმნება დიდი და საჩვენებელი თითების მანიპულირებით.**

## საქმე კარგად მიდის!

ეს ჟესტი, რომელიც რონალდ რეიგანს უყვარდა, ამერიკიდან წამოვიდა და მთელს მსოფლიოში ფეხი მჭიდროდაც მოიკიდა. იგი ძირითადად ნიშნავს: ყველაფერი კარგად მიდის! ყველაფერი ხუთიანზეა! ყველაფერი სრულ წესრიგშია! და სხვა და სხვა. ეს ჟესტი თავისი მნიშვნელობით თითქმის უტოლდება მაღლა შემართულ ცერს, რომელიც ასევე გამოხატავს დადებით, დამაკმაყოფილებელ, მეტიც, აღმაფრთოვანებელ სიტუაციას.

თუმცა... ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ჟესტის შემსრულებელს აიგივებენ „პედერასტთან“, რომელიც უხმობს თანამზრახველებს უზნეო სიტუაციებში ჩასაბმელად; საფრანგეთში იფიქრებენ, რომ საუბარია ნულოვან, უშედეგო მიღწევებზე ამა თუ იმ სფეროში, რადგანაც ეს ჟესტი იქ „უდრის“ ციფრ ნოლს; იაპონიაში კი გაიგებენ, რომ საქმე ეხება ფულს. მათთვის დიდი და საჩვენებელი თითების რგოლად შეკვრა ფულის გამოხატულებაა; და ბოლოს, მალტის მცხოვრებლები ამ ჟესტში დებენ იმავე აზრს, რასაც ჩვენ ვდებთ ყანწრატოზე საჩვენებელი თითის შემოტკაცუნებაში, ღვინის გადაყლურწვის ინიცირებაში.



როგორც ხვდებით, ეს მენტალური განსხვავებანი აუცილებლად უნდა იცოდეს ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, ნებისმიერმა ჩინოვნიკმა. თუ შენს ქვეყანაში ხარ და ასეთი ჟესტით თავს იწონებ, — ეს კარგია, მაგრამ თუ უცხოეთში მოხვდი და „რგოლის“ გამოყენება გადაწყვიტე, წინასწარ იმ ხალხის აღქმის თავისებურება აუცილებლად შეიტყვე, თორემ შარი არ აგცდება!

**ბონდო გულიაშვილი**

ინტერვიუ

# ნოდარ ნათაძე: ცხინვალში ჩვენი შესვლის შემდეგ რუსების მიერ ორგანიზებული პარტიზანული ომი დაიწყება



*დღეს „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის წარმატებით მოგვარებაში ეჭვი თითქმის ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსაც არ ეპარებათ. მაგალითად, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე პროგრესულ ძვრებს მოელის, მაგრამ ამასთან ერთად, დარწმუნებულია, რომ ქართული მხარის გამარჯვება დროებითი იქნება და მას კვლავ თბილისის კაპიტულანტური პოლიტიკა მოჰყვება. ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ სახალხო ფრონტის ლიდერს* ***ნოდარ ნათაძეს*** *ესაუბრა.*

**— ეთანხმებით თუ არა ვერსიას, რომ ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება ტერორისტებს მფარველობს?**

— სეპარატისტული ხელისუფლება ტერორისტების მფარველი კი არა, ტერორიზმის გამტარებელია. როცა გორის ტერაქტი მოხდა, ეჭვი არ შემპარვია, რომ ეს რუსებმა ჩაიდინეს, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელი იყო ის, რომ ტერაქტი „თეთრი ძაფით“ მოამზადეს და პირდაპირ ოსებს დაახოცინეს ის ხალხი. გორის ტერაქტის გახსნა ალბათ ბევრად უფრო ადრე შეიძლებოდა, მაგრამ ვიდრე რუსების ტერორისტული კვალის გამოვლენა ამერიკელების ინტერესში არ მოხვდა, მანამდე ჩვენებმა თვალი დახუჭეს.

**— რამდენად ხელსაყრელია სეპარატისტებისთვის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ტერორისტის იმიჯის დამკვიდრება?**

— მათ არავინ არაფერს ეკითხება და აკეთებინებენ იმას, რაც რუსეთს საჭიროდ მიაჩნია. გარდა ამისა, ოსი სეპარატისტები არ მოელოდნენ, რომ გორის ტერაქტი გაიხსნებოდა, მაგრამ რაკი ბუშის ვიზიტისას ხელყუმბარის ინციდენტი მოხდა, ამ საქმესთან ერთად გორის ტერაქტის გამოძიება ამერიკელების ინტერესის სფეროში მოექცა.

**— ამას წინათ თქვენ ცხინვალის რეგიონისთვის „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ საპროტესტო პიკეტი გამართეთ. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხელისუფლების პოლიტიკა შეიცვალა?**

— მე მგონი, არ შეცვლილა. ჩემი ყველაზე ცუდი ეჭვი ასეთია: იმის მიუხედავად, იჩრიალებს ჩვენი დროშა ცხინვალის თავზე თუ არა, ხელისუფლებას კაპიტულაცია მაინც გადაწყვეტილი აქვს. შესაძლებელია მოხდეს ასეთი ვარიანტი: ჩვენ ძალით თუ ნებით, შევიდეთ ცხინვალში, მაგრამ ხელისუფლებამ გადადგას მცდარი ნაბიჯი და შეუსრულოს სეპარატისტებს ის, რასაც დღეს ჰპირდება... ანუ ცხინვალის რეგიონს „სამხრეთ ოსეთი“ დაარქვას... ამიტომაც მე პესიმისტი ვარ. თუკი ცხინვალის რეგიონს „სამხრეთ ოსეთი“ დაერქმევა, ეს იქნება საქართველოს დამარცხება.

**— თქვენი აზრით, ემზადება თუ არა ხელისუფლება საომარი მოქმედებებისთვის?**

— მე ასე არ ვფიქრობ. ეს, ალბათ კუნთების თამაშია და თუკი გადაჯაჭვული იქნება ცხინვალის რეგიონისთვის სახელის გამოცვლასთან, ეს ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო ღალატი იქნება.

**— ანტიტერორისტული საერთაშორისო კოალიცია ტერორიზმს ებრძვის. ხომ არ სურს ხელისუფლებას, ამ კონტექსტში მოაქციოს საქართველოს პრობლემაც და ანტიტერორისტული ბრძოლის ეგიდით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს?**

— ეს ტაქტიკური ვარიანტია, რაც იმის კომპეტენციაში შედის, ვინც ტაქტიკას გეგმავს... ამიტომ ამაზე ლაპარაკის უფლება არ მაქვს. რაც შეეხება ტერორიზმს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ჟურნალში ამოვიკითხე, რომ ამერიკელი ექსპერტები სხვადასხვა სახელმწიფოთა ანტიტერორისტულ სოლიდარობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ: მაგალითად, ჟურნალი წერს, რომ ტერორიზმი პოლიტიკაში სუბიექტი კი არა, მხოლოდ იარაღია... ანუ მეც, რუსსაც, ამერიკელსაც, პეტრესაც და პავლესაც ჩვენ-ჩვენი ტერორისტები გვყავს და ერთიან პრობლემას ვაწყდებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე, რუსი, ამერიკელი, პეტრე და პავლე მეგობრები ვართ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

**— მოელით თუ არა პროგრესულ ძვრებს საქართველოს იურისდიქციაში ცხინვალის რეგიონის დაბრუნების საქმეში?**

— პროგრესული ძვრები მოსალოდნელია, მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ცხინვალში შევალთ, თვენახევრის შემდეგ ქართველების წინააღმდეგ რუსების მიერ ორგანიზებული პარტიზანული ომი დაიწყება. ამ პარტიზანულ ომს საბაბად გამოიყენებენ იმისთვის, რომ ხელისუფლება რადიკალურ კაპიტულაციაზე წავიდეს. საბედნიეროდ, ამ კონკრეტულ სფეროში ამერიკული ინტერესი რუსეთს დაუპირისპირდა, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია, მაგრამ არ მჯერა, რომ ამ მომგებიან ვითარებაში ჩვენი ხელისუფლება ისე მოიქცევა, როგორც ეს საქართველოს ინტერესებს შეესაბამება.

# ოთხი დაპატიმრება ბირმინგემში

**ინგლისის ქალაქ ბირმინგემში განხორციელებული ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს ოთხი ადამიანი. ეს დაპატიმრებები უკავშირდება ლონდონში 21 ივლისს აფეთქებათა სერიის განხორციელების მცდელობის საქმის გამოძიებას.**

ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დაკავების დროს პოლიციელებს მოუწიათ გამოეყენებინათ ელექტროშოკერი, მაგრამ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ.

დაპატიმრებული ჩაიყვანეს ლონდონში დასაკითხად. როგორც ვარაუდობენ, ეს ადამიანი შეიძლება იყოს ბრიტანეთის დედაქალაქში 21 ივლისის დაგეგმილი აფეთქებების ერთ-ერთი შემსრულებელი. გაჩხრეკის დროს იპოვეს რაღაც პაკეტი, რომელიც, როგორც გამოძიებას მიაჩნია, შესაძლოა, ძალზე საინტერესო სამხილი აღმოჩნდეს.

ამ ადამიანის დაკავების შემდეგ პოლიციელებმა ბირმინგემში სხვა მისამართზე კიდევ სამი კაცი დააპატიმრეს.

ლონდონში ასობით პოლიციელი და მი-5 კონტრდაზვერვის აგენტები განაგრძობენ „ნადირობას“ იმ ადამიანებზე, რომლებიც ამზადებდნენ ტერაქტების სერიას.

წინა დღით გაჩხრიკეს ერთ-ერთი ბინა ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში: როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, ამფეთქებლებს შეეძლოთ იქ შეენახათ ასაფეთქებელი მოწყობილობები. რეიდის დროს იპოვეს დიდი რაოდენობის რაღაც მასალები, რაც, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერება უნდა იყოს.




ლონდონის პოლიციის ხელმძღვანელი იენ ბლერი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ჯერჯერობით ძებნილმა ამფეთქებლებმა შესაძლოა, სცადონ ახალი დარტყმების განხორციელება.

ბირმინგემში მანამდეც დააკავეს ხუთი ეჭვმიტანილი, რომლებიც ამჟამად წინასწარი პატიმრობის საკნებში იმყოფებიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადამიანთაგან არც ერთს არ მიიჩნევენ ტერაქტების უშუალო შემსრულებლად.

# პენტაგონი შეინარჩუნებს ბაზას ყირგიზეთში

**ყირგიზეთმა აღუთქვა შეერთებულ შტატებს, რომ პენტაგონს შეუძლია გამოიყენოს მის ტერიტორიაზე მდებარე საავიაციო ბაზა ავღანეთში სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერისთვის იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ეს საჭირო იქნება.**

ეს ცნობილი გახდა ბიშკეკში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის ვიზიტის დასრულების შემდეგ, რომელიც მოგზაურობს ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

როგორც იტყობინებიან, ყირგიზეთიდან ტაჯიკეთში გამგზავრების წინ პენტაგონის შეფი ვერ ფარავდა კმაყოფილებას ბიშკეკში გამართული მოლაპარაკებების გამო და აღნიშნავდა, რომ მისი აზრით, ამერიკელთა ბაზებს რეგიონში არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

ერთ-ერთი ასეთი ბაზა უზბეკეთშიც მდებარეობს, მაგრამ ამ რესპუბლიკაში ვიზიტი არ არის შეტანილი ამერიკის სამხედრო უწყების ხელმძღვანელის ტურნეს გრაფიკში.

ვაშინგტონსა და ტაშკენტს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუარესდა მაისში ანდიჟანში მომხდარი მოვლენების შემდეგ, როცა უიარაღო სამოქალაქო მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების ჩახშობის დროს მოკლეს, ოფიციალური მონაცემებით 173 კაცი, მაგრამ სამართალდამცველთა თქმით, ეს ციფრი რამდენჯერმე უფრო მეტი იყო.

შეერთებულმა შტატებმა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებმა, მოითხოვეს ამ ტრაგედიის გარემოებების საერთაშორისო გამოძიება, რის შედეგადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა უზბეკეთის ქალაქ კარშის მახლობლად ამერიკელთა ბაზის შემდგომი ყოფნის საკითხი.

უზბეკეთში ამერიკის ბაზის მომავალი ბედის შესახებ დასმულ კითხვას პენტაგონის შეფმა უპასუხა, რომ ამერიკა-უზბეკეთის სამხედრო თანამშრომლობა ახალ დონეზე უნდა დადგეს. იგი, ალბათ, გულისხმობდა მოლაპარაკებებს უზბეკეთის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შორის.

დუშანბეში, პრეზიდენტ რახმონოვთან შეხვედრის დასრულების შემდეგ დონალდ რამსფელდმა განაცხადა: იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო მტკიცე გახდება ამერიკა-ტაჯიკეთის თანამშრომლობა ტერორიზმის, აგრეთვე, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში.



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინა და საქართველო რუსეთის მტრები არიან?

**რუსეთში გამართულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ რუსეთელთა დიდი უმრავლესობა ნეგატიურად ეკიდება იმ ქვეყნების ხელმძღვანელებს, რომლებმაც მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ. კერძოდ, რუსეთის მცხოვრებლები უკრაინას და საქართველოს არ მიიჩნევენ მეგობარ სახელმწიფოებად, ხოლო ბელორუსია, ყაზახეთი და აზერბაიჯანი კი — მზად არიან გულში ჩაიკრან.**

პოლიტოლოგებს ვთხოვეთ განემარტათ, თუ როგორ აღიქვამენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები გეოპოლიტიკური ვითარების თავისებურებებს.

„მთავარია, რომ იუშჩენკო „უცხოა“ რუსეთისთვის, — მიაჩნია რუს პოლიტოლოგს მარატ გელმანს, — რუსეთელები ჯერ კიდევ აზროვნებენ როგორც ზესახელმწიფოს, „უფროსი ძმის“ მოქალაქეები, რასაც ადასტურებენ კიდეც სოციოლოგიური გამოკითხვების დროს. უკრაინაში არჩევნებში იანუკოვიჩს რომ გაემარჯვა, რუსეთს მოუწევდა ამ ქვეყნისთვის უფრო მეტი რამ დაეთმო, ვიდრე ეს ახლა ხდება. ახლა მოსკოვმა კიევთან მკაცრი ტონით უნდა ილაპარაკოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რუსეთის მოქალაქეებს დიდად არ მოეწონებათ“.

უკრაინელ პოლიტოლოგს ვლადიმერ მალენკოვიჩს მიაჩნია, რომ აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასმედიას, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს ამხედრებს ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ. „ამ ადამიანების აზრი დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მიიღებენ. ხოლო, რადგან ეს ინფორმაცია უკრაინის შესახებ ძირითადად კრიტიკულია, ჩვენს ქვეყანაზე ასეთივე აზრი აქვს რუსეთის საზოგადოებრიობას. ვფიქრობ, რომ რუსეთში მრავალი ადამიანი გაუგებრობად მიიჩნევს სსრ კავშირის დაშლას და მხარს უჭერს კავშირის აღდგენის იდეას“.

СЕГОДНЯ (კიევი), 27 ივლისი.

# კონგრესმა, შესაძლოა, აუკრძალოს შეერთებულ შტატებს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის დაფინანსება

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სომხეთის მხარდამჭერი ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა ფრენკ პალომემ, ჯო ნოლენბერგმა და ჯორჯ რადანოვიჩმა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში განსახილველად წარადგინეს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც შეერთებულ შტატებს აეკრძალება დახმარების გაწევა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის პროექტისთვის. ეს მონაკვეთი უნდა გაიყვანონ ყარსი-გიუმრი-ახალქალაქის ამჟამად არსებული სარკინიგზო შტოს გვერდის ავლით.**

ჯო ნოლენბერგის თქმით, „სომხეთისთვის ეკონომიკური და კომერციული უფლებების ჩამორთმევა ზიანს მიაყენებს შეერთებული შტატების გრძელვადიან რეგიონულ ინტერესებს“. „ამერიკამ არ უნდა გაუწიოს დახმარება ამ რკინიგზის მშენებლობას, რადგან ეს პროექტი არ ითვალისწინებს ყარსი-გიუმრის არსებულ რკინიგზას, დაბრკოლებას უქმნის სამხრეთ კავკასიაში რეგიონულ თანამშრომლობას და დესტაბილიზაცია შეაქვს ამ რეგიონში“, — აღნიშნა ჯო ნოლენბერგმა.

ყარსი-ახალქალაქის ახალი რკინიგზის სიგრძე, რომელმაც, გეგმის თანახმად, უნდა გააგრძელოს თბილისი-ბაქოს მარშრუტი, 98 კილომეტრს შეადგენს. აქედან 68 კილომეტრი მოდის თურქეთის, 30 კი — საქართველოს ტერიტორიაზე. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 500 მილიონი დოლარი. დაგეგმილია, რომ რკინიგზა საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 2008 წლის დამლევისთვის. ასევე აღვნიშნავთ, რომ 25 მაისს ბაქოში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, ყარსი-თბილისი-ბაქოს საერთაშორისო სატრანსპორტო სარკინიგზო დერეფნის შექმნის შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, თურქეთის და საქართველოს პრეზიდენტებმა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში არის გათვალისწინებული ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაც.

НОВОЕ ВРЕМЯ (ერევანი).

# ჩიკაგოში ააგებენ ამერიკაში ყველაზე მაღალ ცათამბჯენს

**ჩიკაგოში 2009 წლისთვის უნდა დაიწყოს 115-სართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა, რომელიც გახდება ყველაზე მაღალი ამერიკის შეერთებულ შტატებში. შპილთან ერთად ამ ნაგებობის სიმაღლე 610 მეტრს შეადგენს.**

500 მილიონ დოლარად შეფასებული პროექტის განხორციელებას აპირებს კრისტოფერ კარლი, ჩიკაგოს სამშენებლო კორპორაციის „ფორდჰემის“ გამგეობის თავმჯდომარე. ამ კორპორაციის პატივსაცემად, ჯერჯერობით მხოლოდ ნახაზებზე არსებულ 115-სართულიან კოშკს უწოდეს „ფორდჰემის პიკი“.

ცათამბჯენს ააგებენ მიჩიგანის ტბის პირას და მასში განთავსდება როგორც სასტუმრო, ისე საცხოვრებელი სახლი — კონდომინიუმი. სავარაუდოდ, ყველაზე „მოკრძალებული“ ოროთახიანი ბინა ამ ცათამბჯენში, სულ ცოტა 600 ათასი დოლარი ეღირება.

ამ ორიგინალური პროექტის ავტორია ესპანელი არქიტექტორი სანტიაგო კალატრავა. გარეგნულად „ფორდჰემის პიკი“ მოგვაგონებს სპირალისებრ ნემსს.

ჯერჯერობით კი ამერიკაში ყველაზე მაღალ ცათამბჯენად ითვლება 110-სართულიანი Sears Tover. შპილის გარეშე ახალი ცათამბჯენის სიმაღლე შეადგენს 445 მეტრს, ანუ 2,5 მეტრით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე Sears Tover.

თუ არქიტექტორთა ჩანაფიქრს ხორცი შეესხმება, ჩიკაგოს ახალი ცათამბჯენი თვით თავისუფლების კოშკსაც კი დაჩრდილავს, რომლის აგებასაც აპირებენ ნიუ-იორკში 2010 წლისთვის. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტების მიერ დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილზე მშენებარე ამ კოშკის სიმაღლე 541 მეტრი იქნება.

თუმცა, როგორც არქიტექტორები აღნიშნავენ, ამერიკა მაინც ვერ გახდება მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის მფლობელი. სიმაღლის მიხედვით „მსოფლიო ჩემპიონის“ ტიტულზე პრეტენზიას აცხადებს გაერთიანებულ არაბულ საამიროებში მშენებარე ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 800 მეტრს შეადგენს.

# აფხაზურმა მხარემ მიმართა გაეროს, განიხილოს უშიშროების საბჭოს სხდომაში მისი მონაწილეობის საკითხი

**აფხაზეთი კვლავ სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს, განიხილონ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაში აფხაზეთის წარმომადგენლების მონაწილეობის საკითხი.**

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ადამანტიოს ვასილაკისს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აფხაზური მხარე გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართავს წინადადებით, კიდევ უფრო განავითაროს გაეროს ეგიდით მიმდინარე ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესი და გადაიყვანოს იგი უფრო „აქტიურ და პროდუქტიულ კალაპოტში“.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ „აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების სისტემატური იგნორირება და მოვლენათა არასაკმარისად ობიექტური დამოუკიდებელი შეფასება ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ნდობის ღონისძიებათა აღდგენის პროცესის შენელებას“. რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის აზრით, აფხაზეთის ასი ათასობით მშვიდობიანი მცხოვრების წინააღმდეგ გამიზნულ სანქციათა რეჟიმი კიდევ უფრო ღრმავდება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ტვირთით დატვირთული აფხაზეთისკენ მიმავალი მცირერიცხოვანი სავაჭრო გემების სისტემატური გადატაცების შედეგად. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციათა რეჟიმს, ნდობის ღონისძიებათა მშენებლობისა და სამშვიდობო ინიციატივათა განვითარების პროცესში. წერილში ასევე ხაზგასმულია: იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთის საზოგადოებრიობის და საზღვარგარეთ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებმა მრავალჯერ მიმართეს გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის ოფისს ისტორიულ



სამშობლოში დეპორტირებული აფხაზებისა და აბაზინთა დაბრუნების უფლებების უზრუნველყოფის საკითხებზე, მათი ელემენტარული უფლებები ირღვევა აფხაზეთის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციათა რეჟიმის შედეგად. სადღეისოდ 8 ადამიანი — აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები, რომლებმაც მოისურვეს წინაპართა სამშობლოს მონახულება, ქართულ საპყრობილეებში იმყოფება.

„როგორც ცნობილია, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, რომელიც გაეროს ეგიდით მიმდინარეობს, ძირძველ აფხაზურ მიწებზე ქართველი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე თურქეთში, სირიაში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები აფხაზების სამშობლოში დაბრუნების ელემენტარული უფლება“, — აღნიშნულია დოკუმენტში. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ აფხაზეთს სურს დაიცვას გაეროს შუამავლობით საქართველოსა და აფხაზეთს შორის წინათ მიღწეული მორიგებები. რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყება მხარეებს მოუწოდებს განუხრელად დაიცვან მოსკოვის 1994 წლის შეთანხმება. აფხაზური მხარე საქართველოს ადანაშაულებს მოსკოვის შეთანხმების არაერთ დარღვევაში, რომელსაც ხელი მოაწერეს გაერომ და ეუთომ.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს გაეროს უშიშროების საბჭოს გახდეს დამოუკიდებელი არბიტრი საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამშვიდობო პროცესში და ხელი შეუწყოს იმას, რომ მიღწეული მორიგებების ნებისმიერ დარღვევას დროულად მიეცეს ობიექტური შეფასება. აფხაზეთი კვლავ სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს, განიხილოს გაეროს უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომაში აფხაზეთის წარმომადგენლების მონაწილეობის საკითხი, რომელზეც უშიშროების საბჭოს წევრებს მიეცემოდათ არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური მხარის მოსმენის შესაძლებლობა.

გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში მითითებულია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების წინადადებები. კერძოდ, ეს არის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რომლის გარანტებიც შეიძლება იყოს მოლაპარაკების პროცესის ყველა მხარე; დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ძირითადი კონტინგენტი და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მისი ყოფნის პირობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარეებს შორის მიღწეული მორიგებით; უშიშროებისა და აფხაზეთის სოციალური და ეკონომიკური სფეროების მშვიდობიანი განვითარების საკითხები კვლავ უნდა გადაწყდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ აფხაზეთის ხელისუფლებასთან; ქართველი ლტოლვილების ცალმხრივი დაბრუნების ფაქტის ოფიციალური დადასტურება ხელს შეუწყობს რეგიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის დაწყებას; აფხაზური მხარის წინადადებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მოსახლეობის უშიშროებისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

**(იბეჭდება შემოკლებით).**

REGNUM 27 ივლისი.

# კორეა მზად არის მოსპოს თავისი ბირთვული იარაღი

**ფხენიანი „შემოწმებას დაქვემდებარებული ფორმით“ გაანადგურებს თავის ბირთვულ იარაღს და შეწყვეტს ბირთვულ პროგრამათა განხორციელებას, თუ შეერთებული შტატები მასთან ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებს და აღარ დაემუქრება ჩრდილოეთ კორეას ბირთვული იარაღით.**

ასეთი განცხადება გააკეთა პეკინში მიმდინარე ექვსმხრივ მოლაპარაკებაზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კიმ გე გვანმა.

მან წარმოთქვა ოფიციალური სიტყვა პრესისთვის დახურულ სხდომაზე. კიმ გე გვანმა, კერძოდ, მოსთხოვა შეერთებულ შტატებს უპირობო გარანტიები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის შესახებ, იტყობინება სამხრეთ კორეის „რენჰაპის“ საინფორმაციო სააგენტო.

კიმ გენ გვანმა ასევე მოითხოვა, რომ სამხრეთ კორეაში განახორციელონ იქ არსებული მთელი ამერიკული ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია. შეერთებული შტატები, განაცხადა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, უნდა დათანხმდეს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ბირთვული იარაღის შეტანის აკრძალვაზე და უარი თქვას თავის დაპირებაზე, რომელიც გულისხმობს აუცილებლობის შემთხვევაში ამ იარაღის გამოყენებას კორეის რესპუბლიკის დაცვის მიზნით. კიმ გე გვანის თქმით, ეს ნიშნავს კორეის ნახევარკუნძულზე უბირთვო ზონის შექმნას.

ფხენიანის წარმომადგენლებმა ასევე მოსთხოვეს შეერთებულ შტატებს, რომ მან უარი თქვას ჩრდილოეთ კორეაში ამჟამად არსებული რეჟიმის შეცვლის მცდელობაზე.



◎ ინფორმაცია

## „ქალის საქმე“ საპატიმროშიც გამოჩნდა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა №5 დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სამკერვალომ თეთრეულისა და ლეიბის 110 კომპლექტის შეკერვის შეკვეთა მიიღო. კომპლექტი არასრულწლოვანთა საპყრობილისთვის არის განკუთვნილი.

ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე არასრულწლოვანთა საპყრობილის მშენებლობა 2005 წლის იანვრიდან დაიწყო და ერთ თვეში დასრულდება. საპყრობილე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღიჭურვება.

ქალთა №5 დაწესებულების დირექტორის მედეა ალანიას თქმით, შეკვეთის შესრულების შემდეგ სამკერვალო იმუშავებს თეთრეულისა და ლეიბის 800 კომპლექტზე, რომელიც განკუთვნილი იქნება რუსთავის №6 საპყრობილისთვის.

## მძღოლებო, საბუთი ნუ გავიწყდებათ!

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ გარდაბნის რაიონის სოფელ სააკაძესთან დააკავა ავტომანქანა „ფოლკსვაგენი“, რომლის მძღოლს, თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში მცხოვრებ, 52 წლის იური ჯაშიაშვილს უსაბუთოდ გადაჰქონდა 2 000 ლარის ღირებულების ავეჯი.



ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფ. ალგეთთან დააკავეს ავტომანქანა „ვაზ-2106“, რომლის მძღოლს, მარნეულში მცხოვრებ, 23 წლის სარქის პეტროსიანს უსაბუთოდ გადაჰქონდა 400 ლარის ღირებულების საკონდიტრო ნაწარმი.

ორივე საქმეზე მოკვლევას ატარებს ქვემო ქართლის საფინანსო პოლიცია.

## ახლა ნახეთ კახელების გამრავლება!..

1 აგვისტოდან ამოქმედდება თელავის რაიონის გამგეობის მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალ შექმნილი ოჯახების მხარდაჭერას.

პროგრამა ითვალისწინებს ახალდაქორწინებულებზე ფულადი საჩუქრის, 50 ლარის გაცემას. რაიონის გამგეობა აგრეთვე თავად დაფარავს ქორწინების მოწმობების ღირებულებას (სახელმწიფო ბაჟი, 9 ლარის ოდენობით).

„პროგრამის განხორციელებისთვის მინიმალური სოციალური პაკეტიდან გამოიყოფა შესაბამისი სახსრები. პროგრამის ამუშავების მიზანი ახალგაზრდების წახალისებაა, რამაც ვფიქრობ, ხელი უნდა შეუწყოს ახალი, მყარი ოჯახების შექმნას. ჩვენ აგრეთვე, დავამტკიცეთ მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა; ყველა მარტოხელა დედას გადაეცემა ფულადი დახმარება ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით“, — განაცხადა რაიონის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის გამგემ გულნაზ საქუაშვილმა.

მედია-ნიუსი

2005 წლის 18 აგვისტოს დღის 14 საათზე მოწვეულია სს „ბროილერის“ აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ჭავჭავაძის 64.

**დღის წესრიგით:**

1. 2004 წლის სამეურნეო შედეგების განხილვა და ბალანსის დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ანგარიში და მისი დამტკიცება.

## ციფრების ენით

*სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი მამაკაცების საერთო რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში აშკარად ლიდერობენ ჩინეთი და ინდოეთი, სადაც ეს მაჩვენებლები შესაბამისად, 281,2 და 219,5 მილიონს შეადგენს.*

| | |
|---|---|
| რუსეთში | – 21 მილიონი; |
| გერმანიაში | – 15,3; |
| დიდ ბრიტანეთში | – 12,0; |
| საფრანგეთში | – 11,3; |
| უკრაინაში | – 7,1; |
| ბელორუსიაში | – 1,7. |



## რისგან წარმოიქმნება ბენზინის ფასი?

| | |
|---|---|
| ნედლი ნავთობი – 6 პროცენტი | – 0,87 რუბლი |
| აქციზი – 20 პროცენტი | – 2,79 რუბლი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გადასახადი – 12 პროცენტი | – 1,72 რუბლი |
| სხვა გადასახადები, მათ შორის დღგ – 22 პროცენტი | – 3,13 რუბლი |
| გადამუშავება – 18 პროცენტი | – 2,51 რუბლი |
| ნავთობის კომპანიის მოგება – 13 პროცენტი | – 1,86 რუბლი |
| ავტოგასამართი სადგურის მოგება – 9 პროცენტი | – 1,24 რუბლი |
| საბოლოო ფასი – 100 პროცენტი | – 14,12 რუბლი. |

## რამდენი მუსლიმანია ევროპაში

1968 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის აღწერის დროს იკრძალება კონფენსიური კუთვნილების მითითება, ამიტომ, ამის თაობაზე ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

**ექსპერტთა მონაცემები**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | – 3,5 მილიონზე მეტი; |
| დიდი ბრიტანეთი | – დაახლოებით 2,5 მლნ; |
| გერმანია | – დაახლოებით 1,5 მლნ; |
| იტალია | – დაახლოებით 800 ათასი; |
| ნიდერლანდი | – 500 ათასზე მეტი. |

◎ ისეთ ხუმრობას რა ჯობია...

# ადამიანებო, იყავით გრილად!

## ანუ ო, მოდა, მოდა!

*ეჰ, რას იზამ! ასე დაუწესებია უფალს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. დასაბამიდან ასეა! თუმცა, ადამიანები ისეთი ჭირვეულები ვართ, ჩვენი მოსაწონი დარი ვერ შეგვირჩია მამაზეციერმა.*

*ერთი კია — წელიწადის ყველა დროს თავისი შესაფერი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი სჭირდება.*

*მოდით, ამჯერად, ზაფხულის მოდებს მივხედოთ!*

წელს, მართლაც რომ, „ბუღი ასდის ქალაქს!“ ამაში ვერც მთავრობას დაადანაშაულებ და ვერც ჩვენს ყოფას.

ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ თავს!

ახალგაზრდა გოგონებმა კარგა ხანია მიაგნეს ბუნების ამ მოვლენასთან ბრძოლის ერთ-ერთ ხერხს. ისინი, მუცელ-ჭიპ მოშიშვლებულები, ძუძუ-გულგადმოყრილები, ჯინსჩაწეულები (ისე, რომ ტრუსების ფერიც მოუჩანდეთ!) „დატასაობენ“ თბილისის ქუჩებში.



შედარებით ასაკოვანმა ქალებმაც მიხედეს თავს. მათ მკერდმოღეღილი კაბები აცვიათ და ქვედა ნაწილი, სამ-ოთხ ადგილას ღრმადა აქვთ შეჭრილი, რითაც სიარულის დროს და მით უმეტეს, თუ ოდნავ ნიავიც წამოეშველათ, საკმაოდ გრილად გრძნობენ თავს.

ამ მხრივ მამაკაცები დაიჩაგრნენ! თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მოხშირდნენ მაისურებითა და „შორტებით“ მოსიარულენი. განსაკუთრებით გამოირჩევიან, საჭესთან მჯდომი ახალგაზრდები.

მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. უფრო თამამად, გაბედულად უნდა ავყვეთ თანამედროვე მოდას. ხომ ხედავთ, განვითარებულ ქვეყნებში შემოვიდა ნუდიზმი ანუ მამაკაცების და ქალების დედაშობილა, ჯგროდ სირბილი, შეკრებები, გართობა-თამაშობანი.

მე მინდა მკითხველებს შევთავაზო, მამაკაცების ჩაცმულობის ჩემებური ვარიანტები.

მაშ ასე: „შორტები“, ჯინსები, თხელი შარვლები ძალაში რჩება. ამას უნდა დაემატოს, კისერ და სახელოებ ღრმად ამოჭრილი მაისურები (სასურველია შავი ფერის) და შავი მზის სათვალე.

ამასთან, აუცილებელია, „შორტი“ იქნება ეს, ჯინსი თუ შარვალი, წინა ადგილი, რომელიც წინათ ეგრეთ წოდებულ „სასირცხვოს“ ფარავდა, უნდა იყოს ღია, ამოჭრილი, რათა ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს. ტრუსების ჩაცმა აუცილებელი არ არის. თუ ვინმე არ მოიშლის და ამ უკანასკნელს მაინც ჩაიცვამს, ისიც ასეთივე „ვიკროიკის“ უნდა იყოს. ეს სავალდებულოა ახალგაზრდებისთვის, სხვებს კი ასაკისა და სურვილის მიხედვით შეუძლიათ, გააკეთონ არჩევანი.

ფეხზე: აუცილებლად „ფლოსტები“. თუ სამსახურში ან რაიმე ოფიციალურ საქმეზე ხართ წასასვლელი, შეგიძლიათ ჩაიცვათ, რაც შეიძლება თხელი „სანდლები“. მხოლოდ, არავითარ შემთხვევაში არ ამოიცვათ „ნასკები“!

„შორტების“ ჩაცმას ვურჩევ მამაკაცებს, რომლებსაც გაღუნული ფეხები აქვთ და ტან-ფეხი ხშირი ბეწვით ანუ „ბანჯგვლით“ აქვთ დაფარული. გახსოვდეთ, ასეთ შემთხვევაში ნიავი უფრო ლაღად მიმოდის ფეხებშუა.

არც გოგონებს და არც ვაჟებს არ დაგავიწყდეთ ტატუირება. მადლობა ღმერთს, თბილისში უამრავი სალონია, სადაც მეტად დიდი არჩევანია ამ მხრივ — რა ფერისაც გინდათ, რა შინაარსისაც, სხეულის რომელ ნაწილზეც გინდათ ამოტვიფრეთ გემოვნების მიხედვით.

მხოლოდ, ჩემი მხრიდან რჩევას მივცემ ახალგაზრდა ყმაწვილებს: ამოიტვიფრონ მატარებლის შემადგენლობა, რომლის ბოლო ვაგონი სადღაც ყელის არეში იქნება მოთავსებული, დანარჩენები კი წრეს დაარტყამენ მკერდზე, ზურგზე და ბოლოს შევლენ გვირაბში, რომლის ბოლოში სინათლე არ მოჩანს...

მინდა სათაურში გამოტანილი, იულის ფუჩიკის ცნობილი გამონათქვამის პერეფრაზირებით დავამთავრო: „ადამიანებო, იყავით გრილად!“

ჯერჯერობით ეს რჩევები იკმარეთ. შევხვდებით შემოდგომაზე.

**გურამ გომართელი,**

**მამუკა ვაშაკიძის ნახატი.**

◎ ინფორმაცია

## სახალხო დამცველი ჩვენით დაინტერესდა

ქართულ მედიაში არსებული პრობლემებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა.

მედიაში არსებულ ვითარებაზე სასაუბროდ, გუშინ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებს შეხვდა.

როგორც სოზარ სუბარმა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, საქართველოში მოქმედებს „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ კანონი და შრომის კანონთა კოდექსი და ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტებთან მიმართებაში არც ერთი და არც მეორე კანონმდებლობა საკმარისად არ მოქმედებს.

## აქცია კულტურის სამინისტროს წინ

„დიდი ეროვნული გაერთიანების“ წარმომადგენლებმა კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინ გუშინ კოლხური კოშკის სტატუსის მინიჭების თაობაზე საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ კოლხურ კოშკს, როგორც კულტურულ ძეგლს, მიენიჭოს სტატუსი და მისი აღდგენითი სამუშაოები დღესვე დაიწყოს.



აქციაზე იმყოფებოდნენ „დიდი ეროვნული გაერთიანების“ ლიდერი, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ასევე პოლიტიკური გაერთიანების „ენა, მამული, სარწმუნოება“ ლიდერი გურამ შარაძე.

როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ განაცხადა, კოლხური კოშკი გადაწვა მთავრობამ და ამიტომ უნდა იზრუნოს მის აღდგენაზე. მისი თქმით, კოლხური კოშკის აღსადგენად სახელმწიფოს მხრიდან ერთი თეთრიც არ არის გაღებული.

როგორც აქციაზე გურამ შარაძემ განაცხადა, ისინი მოითხოვენ კულტურის სამინისტრომ კოლხური კოშკის კულტურულ ძეგლად გამოცხადების თაობაზე დღესვე მიიღოს სპეციალური დოკუმენტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მის დასაფინანსებლად შესაბამისი თანხა გამოიყოს.

## ვაშლიჯვარი ჯერჯერობით ყურადღების ცენტრშია

აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და საქართველოს კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლებთან შესახვედრად გუშინ ვაშლიჯვერის №11 კორპუსთან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი მივიდნენ.

როგორც შს მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, FBI-ს წარმომადგენლებმა და საქართველოს კრიმინალისტიკური სამსახურის წევრებმა სამი დღის განმავლობაში ძალიან აქტიურად იმუშავეს. მისივე თქმით, ამ პერიოდში ქართველმა კრიმინალისტებმა ამერიკელი კოლეგებისგან ძალიან დიდი გამოცდილება მიიღეს.

მერაბიშვილის განმარტებით, ამერიკულ მხარეს საქართველოში სპეციალური ტექნიკა ჰქონდა ჩამოტანილი, რათა სამუშაოები სრულყოფილად შესრულებულიყო. მინისტრის თქმით, ბრალდებულ არუთინიანის კუთვნილ სარდაფში საშიში ქიმიური ნივთიერებებია აღმოჩენილი.

საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის განცხადებით, ამ ნივთიერებების გამოყენებით არუთინიანს არაერთი დანაშაულის განხორციელება შეეძლო.



FBI-ს წარმომადგენლები ვაშლიჯვარში სამი დღის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდნენ. კრიმინალისტიკური სამსახურის წევრებმა დღეს არუთიანის კუთვნილი სარდაფიდან 20-მდე დალუქული ყუთი ამოიტანეს. FBI-ს წარმომადგენლები და ქართველი კრიმინალისტები აირწინაღებითა და ხელთათმანებით მუშაობენ.

## 54 პატიმარი შეწყალებას ელის

შეწყალების სახელმწიფო კომისიამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 54 პატიმრის სია წარუდგინა.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, შეწყალების კომისიამ სულ 600-მდე პატიმრის განაცხადი შეისწავლა, რომელთაგან 54 შეირჩა.

თევდორაძის თქმით, შეწყალების კანდიდატურები ისეთ პატიმართა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც პირველად იხდიან სასჯელს და ამავე დროს, არ არიან მკვლელები, რეციდივისტები და ნარკოტიკების გამსაღებლები.

54 პატიმარს შორის ორი ქალია.

ინტერპრესნიუსი

◎ თაობა



ზესტაფონის საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდია 25 წლისაა. ამ თარიღთან დაკავშირებით სტუდიის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ვაჟა-ფშაველას

# ბავშვური სიწრფელე და ნიჭიერება

**„შვილის ნუკრის ნაამბობის“ მუსიკალური კომპოზიცია, რომლის ავტორია სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი დოდო მერკვილიშვილი.**

26 ივლისს ზესტაფონელმა ნორჩებმა თავიანთი სპექტაკლი რკინიგზელთა სახლში დედაქალაქელ თანატოლებსაც უჩვენეს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. დარბაზში შეკრებილნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს ნორჩების ნიჭიერებას და უშუალობას.



**სურათზე: ზესტაფონელი ნორჩი მსახიობები ხომ ყველა კარგი იყო, ციცქნა ოლიკო მაჭავარიანი მაინც გამოირჩეოდა; სცენა მუსიკალური წარმოდგენისა „შვლის ნუკრის ნაამბობი“.**

**ხათარ ლომაძის ტექსტი და ფოტო.**

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**28 ივნისი 2005 წელი** — **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანმა, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით ჯავახაძის განცხადება სს „საქტრაქტორის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით,**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დავადგინე:**

1. სს „საქტრაქტორის“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.
2. მოვალე სს „საქტრაქტორს“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ზურაბ ვარდოსანიძე, დაბადებული 1953 წლის 14 იანვარს, ქ. ქუთაისში, მცხოვრები ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. № 76ა/25-ში, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი.
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, სს „საქტრაქტორის“ ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.
5. მოვალე სს „საქტრაქტორის“ ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
6. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე სს „საქტრაქტორის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ან უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. № 19).
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს მოვალე სს „საქტრაქტორის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. სს „საქტრატორის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნას 2005 წლის 28 ივნისს, დღის 12 საათიდან.
9. 2005 წლის 28 სექტემბერს, 12 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში (მე-4 სართულზე) მოწვეული იქნას კრედიტორთა პირველი კრება. კრებაზე შემოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე მოსმენილი იქნება გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის, სს „ტრაქტორის“ გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „საქტრაქტორს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.
11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.
12. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.
13. სს სს „საქტრაქტორის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

**მოსამართლე**

**დურმიშხან ჟორჟოლიანი.**

## განცხადება სს „რუსთავცემენტის“ საანგარიშო საერთო კრების მოწვევის შესახებ

**2005 წლის 29 აგვისტოს 14 საათზე მოწვეულია სს „რუსთავცემენტის“ აქციონერთა საანგარიშო საერთო კრება, შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. № 70.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ადმინისტრაციის ანგარიში 2004 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
3. ინფორმაცია საზოგადოების აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;
4. ადმინისტრაციის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
5. 2005 წლისთვის აუდიტორის არჩევა;
6. სხვადასხვა.

აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღე დანიშნულია ა/წლის 19 ივლისს.

**სს ადმინისტრაცია.**

**სს „ფოთის წისქვილქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა სს „ფოთის წისქვილქარხნის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის სააღრიცხვო თარიღი — 2005 წლის 8 აგვისტოს.** სს „ფოთის წისქვილქარხნის“ საერთო კრებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი“, 2005 წლის 8 აგვისტოს 15 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74 ა, III სართული, დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრის“ ოფისში.

**2005 წლის 27 ივლისი.**

ფესტივალი

# ზღვა, მზე და... ლიანა ისაკაძე



**ბათუმმა თავისი ხმა შეუერთა ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალს — „ხელოვნების ზეიმს". იგი ზაფხულის ამ ცხელ დღეებში ფესტივალით ერთად მრავალ დამსვენებელსაც მასპინძლობს.**

ტრადიციულად, ფესტივალის გენერალური სპონსორია მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი — საქართველოს მინერალური წყლების კომპანია.

ბორჯომის წლევანდელი, რიგით მეოთხე ფესტივალი განსხვავებული სახით გაიმართა — ბათუმში ზღვისპირა აჭარის მოსახლეობას საშუალება აქვს გაეცნოს მაღალი რანგის მუსიკოს-შემსრულებლებს და ამით ჭეშმარიტ ხელოვნებას ეზიაროს. როგორც „ხელოვნების ზეიმის" სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე ამბობს, მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტები არსებობს.

როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, გარკვეული მიზეზების გამო საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი დაიშალა და ფესტივალის გადასარჩენად ლიანა ისაკაძემ შექმნა ახალი გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრი, რომლის შემადგენლობაში ქართველ მუსიკოსებთან ერთად მოღვაწეობენ ევროპაში ცნობილი ორკესტრების — დასავლეთ გერმანიის რადიოს, ბერლინის ფილარმონიის, ბავარიის რადიოს, მიუნხენისა და რიგის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრების მუსიკოსები. ახალი კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი კვლავ ლიანა ისაკაძეა. ორკესტრის დირიჟორი და დირექტორი გახლავთ ევროპაში ცნობილი მუსიკოსი, გერმანელი იური გილი.

მელომანებს გვერდს დაუმშვენებს პაატა ბურჭულაძე ... გაგანი, მაგრამ ეს მოგვიანებით...

ფესტივალის პირველ საღამოს ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებლებმა პირთამდე აავსეს დარბაზი. ისინი აპლოდისმენტებით შეეგებნენ მთავარ მოქმედ გმირებს — გერმანულ-ქართულ ორკესტრს და ლიანა ისაკაძეს. პირველ ნომრად აჟღერდა ბახი-შუმანის ჩაკონა №2 პარტიტიდან იური გილის დირიჟორობით. ამ ცნობილი ნაწარმოების შესრულების მაღალმა დონემ თავისებური ტონი მისცა საღამოს მსვლელობას. ...

აქვე, ფესტივალის ... ფესტივალის გახსნის წინ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე. ცხადია, ფესტივალს დიდად წაადგება ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

... პერტუარში ცვლილებები მოხდა.

ორი ლამაზი საღამო ხომ ჯერ კიდევ წინაა...

**რუსუდან მუხიგულაშვილი,**
**„სრ" სპეც. კორ.**
**ბათუმი.**

ფრთხილად!

# ძალა ჭამაში მოდის, ავადა...

**ამას წინათ ერთი ჩემი ახლობელი ცუდად გახდა. შეამცივნა, ტემპერატურამაც აუწია, გულისრევა და მუცლის ტკივილი დაეწყო. სასწრაფო დახმარების ექიმმა ეჭვი სალმონელოზზე მიიტანა. შემდგომში ანალიზებითაც იგივე დადასტურდა. საქმე ის არის, რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად მატულობს საკვებით მოშხამვის საშიშროება. როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში გვითხრეს, მოსახლეობამ თავის დასაცავად განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.**

ამ დღეებში ქვეყანაში სალმონელოზის კიდევ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. სალმონელოზური კვებითი ტოქსიკოინფექციები მთელ მსოფლიოში გავრცელებული დაავადებებია. მათი გამომწვევი სალმონელები სხვადასხვა ცხოველების, უმთავრესად შინაური ცხოველებისა და შინაური ფრინველების პარაზიტებია. ცხოველებში ინფექცია სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ხშირად ინფექციის გამომწვევი ხდება ცხოველის კუნთები, ფრინველებში კი, უმეტესად კვერცხში გადადის.

ადამიანს ინფექცია ძირითადად ხორციანი საკვებით გადაეცემა, აგრეთვე, კვერცხით, კვერცხის ფხვნილით, კერძებით, რომლებსაც კვერცხს ან კვერცხიან მაიონეზს უმატებენ.

სალმონელები საკმაოდ გამძლე ბაქტერიებია. დასნებოვნებული ხორცის 400 გრამზე მეტი წონის ნაჭრების 2,5 საათის განმავლობაში ხარშვისას სალმონელები არ იღუპებიან. 10-15 პროცენტიან მარილხსნარში 2-3 თვეს ცოცხლობენ, ხოლო კარაქში — 4 თვემდე.

ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 12-24 საათია. დაავადება უეცარი შემცივნებით და ტემპერატურის მომატებით იწყება. ავადმყოფს თავიდან აწუხებს გულისრევა, ღებინება, მუცლის ტკივილი და ფაღარათი.

სალმონელების გარდა, კვებით მოშხამვებს იწვევს სტაფილოკოკები. ინფექციის წყარო ჩვეულებრივ კანის, ხშირად ხელის თითების ჩირქოვანი დაავადებების მქონე ადამიანია. თუ იგი საკვებს ამზადებს ან ანაწილებს, შეიძლება პროდუქტები დასნებოვანდეს.

მოშხამვა შეიძლება მასტიტით დაავადებული ძროხის რძემაც გამოიწვიოს. სტაფილოკოკები კარგად მრავლდებიან ნახშირწყლოვან (შაქარი) და ცილოვან (რძე, ხორცი) საკვებში. ამიტომ განსაკუთრებით საშიშია შაქრის შემცველი რძის პროდუქტების დასნებოვანება თერმული დამუშავების შემდეგ.

ასეთებია — კრემები, კრემიანი ნამცხვარი, ნაყინი. მოშხამვა შეიძლება გამოიწვიოს რძის, ხაჭოს, არაჟნის, ყველის, ხორცის პროდუქტებმა და ზეთში დაკონსერვებულმა თევზმა. აღსანიშნავია, რომ სტაფილოკოკით დაბინძურებული საკვები პროდუქტები გარეგნულად, სუნით და გემოთი ვარგისი საკვებისგან არ გამოირჩევა. კვებითი მოშხამვის მიზეზი შეიძლება იყოს სხვა მიკრობებიც (ბოტულიზმისა და სხვა).

სალათები მაიონეზით ან არაჟნით უშუალოდ სუფრაზე მიტანის წინ შევკმაზოთ, რადგან მათში ბაქტერიები კარგად მრავლდებიან.

უმი და მოხარშული პროდუქტებისათვის ცალ-ცალკე ხორცის, თევზისა და ბოსტნეულისთვის უნდა ვიხმაროთ სხვადასხვა დასამუშავებელი დაფები.

საჭმლის მოსამზადებლად უმჯობესია, თუ უჟანგავი ფოლადის, ალუმინის ან მომინანქრებულ ჭურჭელს გამოვიყენებთ. მაგრამ ალუმინის ჭურჭელში საჭმელს დიდი ხნით ნუ შევინახავთ.

ძნელი არ არის ამ საკმაოდ მარტივი წესების დაცვა. მათი შესრულება ხომ ჩვენი და ჩვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის საწინდარია.

**მოამზადა**
**ბელა დურგლიშვილმა**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვმუშაობ საბიუჯეტო ორგანიზაციაში. ჩვენთან მომუშავე ყველა მუშაკს მოემატა ხელფასი. მაინტერესებს, მიეცემათ თუ არა ახალი ხელფასის მიხედვით შვებულება იმ მუშაკებს, რომლებიც შვებულებაში გავიდნენ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში, ან მიმდინარე წლის თებერვლის ან მარტის თვიდან?**

**ვახტანგ ვარაზაშვილი**

— მოქმედი კანონის თანახმად, იმ მუშაკებს, რომლებიც კუთვნილ შვებულებაში გავიდნენ 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ე. ი. მანამ, სანამ ძალაში შევიდოდა კანონი საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების გაზრდის შესახებ, საშვებულებო თანხა უნდა გამოუანგარიშდეთ ადრე არსებული წესით, — ძველი ხელფასიდან; ხოლო მათ, ვინც შვებულება გაიფორმა 2005 წლის თებერვალში ან მარტში, შვებულების თანხა უნდა განესაზღვროთ მომატებული ხელფასის გათვალისწინებით.

* * *

**— თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რა შემთხვევებში ხდება საჯარო მოსამსახურის სამუშაოდან გათავისუფლება?**

**კახაბერ მარკოზაშვილი**

— „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში ჩამოთვლილია ყველა ის მიზეზი, რომლის გამოც ადმინისტრაციას მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება შეუძლია.

პირი სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს:

— საკუთარი ინიციატივით, ხელშეკრულების ვადის გასვლის, სამსახურის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შტატების შემცირების, დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის, დისციპლინური გადაცდომის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, საპენსიო ასაკის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევათა გამო.

საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მისი სამსახურში მიღების უფლება.

* * *

**— ვარ ონკოლოგიური ავადმყოფი. ყოველდღიურად ვიკეთებ გამაყუჩებელ ნემსებს. ექიმი მეუბნება, რომ მორფს მომცემს მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩათვლის საჭიროდ, სხვა გამაყუჩებლები კი ჩემი ხარჯით უნდა შევიძინო.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სწორია ექიმის პოზიცია და მეკუთვნის თუ არა უფასო სამედიცინო მომსახურება და ტკივილგამაყუჩებლების მიღება სახელმწიფოს ხარჯზე?**

**ლიანა ბოლქვაძე**

— ქალბატონო ლიანა, კარგად გვესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენს მიმართ ექიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეა (ე. ი. მორფს სისტემატურად ვერ მოგცემენ).

სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ონკოლოგიურ საავადმყოფოში ზოგიერთი სახის გამოკვლევა ნამდვილად არის უფასო, ასევე ზოგიერთი მკურნალობა — შეღავათიანი, მაგრამ მათთვის ყოველდღიურად საჭირო ტკივილგამაყუჩებელი წამლების სახელმწიფოს ხარჯზე შეძენა, კანონით არ არის გათვალისწინებული.

* * *

**— სამუშაოდან გამათავისუფლეს თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, რაც უკანონოდ მიმაჩნია.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტულად რას გულისხმობს მოხელის თანამდებობიდან დათხოვნა ზემოაღნიშნული მოტივით?**

**ზვიად კვაჭაძე**

— მოხელის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო გათავისუფლება გულისხმობს: გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელ შედეგებს ან ატესტაციის არადამაკმაყოფილებლად ჩაბარებას, იმ დოკუმენტაციის არქონას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად, სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებლად ცოდნას და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობას, ჯანმრთელობის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც შეუძლებელია სამუშაოს სათანადოდ შესრულება, პროფესიული ჩვევების არადამაკმაყოფილებლად ფლობას.

გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გარდა, სხვა შემთხვევაში მუშაკი სამუშაოდ იმ შემთხვევაშიც თავისუფლდება, თუ არ სურს სხვა, შესაბამის თანამდებობაზე გადასვლა.

**ირინე ღლონტი**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

ჭადრაკი

# ფინიშამდე ორი ტურით ადრე



**საფრანგეთის ქალაქ ბელფორში დასასრულს მიუახლოვდა 10-18 წლის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.**

ცხრა ტურის შემდეგ თორმეტწლიანებში ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს მერი არაბიძეს, რომელმაც ბოლო ორ პაექრობაში ზედიზედ დაამარცხა უშუალო კონკურენტები და 8 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. მას ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი ნაზი პაიკიძე. 6,5-6,5 ქულა 8 მოჭადრაკემ მოაგროვა. მათ შორის მარიამ დანელიაც გახლავთ.

თვრამეტწლიანებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოსაა მაკა ფურცელაძე, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. 7-7 ქულით II-IV ადგილებს მონღოლი ბატჰუიგ მუნგენგული, პოლონელი იოლანტა ზავადსკა და სალომე მელია იყოფენ.

გოგონებში მედლის მოპოვების შანსი აქვთ სოფიკო გურამიშვილსა (თორმეტწლიანები) და მირანდა მიქაძეს (თექვსმეტწლიანები). სოფიკომ 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ ელენა ტაიროვას (რუსეთი) და მარია მუზიჩუკს (უკრაინა) თითო ქულით ჩამორჩება.

6,5 ქულა აქვს მირანდა მიქაძესაც, რომელსაც მეორე-მესამეადგილოსან მარია იგნაცთან (უნგრეთი) და ულდუზ ჰამრაკულოვასთან (უზბეკეთი) ნახევარი ქულა აშორებს. აქ 8 ქულით სლოვენიის სახელით მოასპარეზე უკრაინელი ანა მუზიჩუკი მეწინავეობს.

თექვსმეტწლიანებში მერი ქორქოლიანს 5 ქულა აქვს და საპრიზო სამეულში მოხვედრის პრაქტიკული შანსი დაკარგა, ისევე როგორც ათწლიანებში ნანი უნაფქოშვილმა და ნინო ანაკიძემ. მათაც 5-5 ქულა მოაგროვეს.

თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს ჩვენმა ბიჭებმა. მათი შანსები თავად მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ კი გაუწყებთ, რომ ათწლიანებში ირაკლი ბერაძეს 5 ქულა აქვს, გიგლა ბენიძეს — ქულით ნაკლები. 7,5-7,5 ქულით ინდოელი საჰაჯ გროვერი და რუსეთელი ივან ბუკავშინი ლიდერობენ.

თორმეტწლიანებში გათამაშების ცხრილს ინდოელი სინათხ ნარაინანი 8 ქულით უდგას სათავეში. 6 ქულა აქვს ზურაბ ჯავახაძეს. თოთხმეტწლიანებში ბულგარელი მარიან მოიჩევი მეწინავეობს 8 ქულით. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს მაქსიმ მატლაკოვმა (რუსეთი) და ლიენ ლი ქვანგმა (ვიეტნამი). დავით ბენიძეს 6 ქულა აქვს, გიორგი ანაკიძეს — 5 ქულა.

თექვსმეტწლიანებში რუსი, პოლონელი და ფრანგი მოჭადრაკეები დაწინაურდნენ 7,5-7,5 ქულით. მათ ორ-ორი ქულით თორნიკე სანიკიძე და შოთა აზალაძე ჩამორჩებიან. თვრამეტწლიანებში მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავს — 15 წლის გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც 9 ტურში მხოლოდ 4,5 ქულის მოგროვება შეძლო, რამაც მას კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა გადაუღობა. პირველ-მეორე ადგილს აქ 7-7 ქულით ვიტრიუკოვი (რუსეთი) და მორანდა (პოლონეთი) იყოფენ.

ბელფორში მსოფლიო პირველობა დღეს დამთავრდება.

**ლექსო ცინცაძე**

ჩვენებურები

# სწრაფი, საიმედო, მრავალმხრივი



**მალხაზ ასათიანმა საქართველოს ნაკრების ორ უკანასკნელ მატჩში საბერძნეთისა და თურქეთის ნაკრებების წინააღმდეგ, პირდაპირ ვთქვათ, სუსტად ითამაშა და გააკრიტიკეს კიდეც. ამის შემდეგ გავიდა დრო, მდგომარეობა შეიცვალა და ახლა მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი რუსულმა სპორტულმა პრესამ ქვეყნის ჩემპიონატის №1 მოთამაშედ ჩათვალა. იგი უკვე 6-ჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, მეტჯერ, ვიდრე უმაღლესი ლიგის ნებისმიერი სხვა მოთამაშე და ახლა ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენასაც უწოდებენ.**

აი, რას ვკითხულობთ ცნობილ ტელემიმომხილველ ვასილი უტკინის ვრცელ წერილში. იგი, გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" კვირაში ერთხელ ჩემპიონატის ტურის შედეგებს აჯამებს:

— „ჩემპიონატს მისი პირველი ნახევრის შემდეგ როგორც ჩანს, თავისი პერსონალური გმირი, ე. ი. საუკეთესო მოთამაშეც ჰყავს. მე პირადად მალხაზ ასათიანის ალტერნატივას ვერ ვხედავ... გუნდს არც ფსიქოლოგიური, არც ტაქტიკური თვალსაზრისით დაცვაში თამაში არ გამოუვა, თუ კართან ახლოს სავსებით საიმედო ოსტატი არა ჰყავს. ასათიანი კი სწორედ ასეთია."

მალხაზის სახით გუნდს ნამდვილი ლიბერო ჰყავს, ახალი თაობის უკანასკნელი მცველი. „ბევრს უყვარდა იმის თქმა, რომ თანამედროვე ტაქტიკამ გააუქმა ეს ოდესღაც მნიშვნელოვანი ამპლუა, რომ დღევანდელი მჭიდრო თამაში ლიბეროს სასიცოცხლო სივრცეს აღარ უტოვებს. თუმცა, როგორც ირკვევა, ის თვისებები, რომლითაც მსოფლიოს საუკეთესო ლიბეროები გამოირჩეოდნენ, ახლაც ძალიან საჭიროა... ასათიანი ნამდვილი ლიბეროა. მისი მთავარი მოვალეობა დაზღვევაზე თამაშია, მაგრამ ამისათვის სულაც არ არის საჭირო მაინცდამაინც საკუთარ კარს მიეჯაჭვოს, საქმეს ისედაც კარგად აკეთებს. აი, ასათიანის რეიდები კი წინ, როცა მას არავინ ელის და პერსონალური მეტოქეც დროულად არ ხვდება — ეს უკვე ლიბეროს კლასიკური თამაშია შეტევაში. არც ისე დიდი ხნის წინათ ასე თამაშობდა, ვთქვათ, მათიას ზამერი, კიდევ უფრო ადრინდელი მაგალითები ქრესტომათიულ ვარიანტებში უნდა ვეძებოთ" (უტკინს მხედველობაში ჰყავს ფრანც ბეკენბაუერი).

„ამპლუა ფეხბურთში არასოდეს კვდება. უბრალოდ, იგი ახალი თაობის შემსრულებლებს ელის, ახალ დროს რომ შეესატყვისებიან. ასათიანი სწორედ ასეთია — საიმედო, სწრაფი, მრავალმხრივი".

**გივი თორელი**

სპორტულ ორბიტაზე

## მსოფლიო რეკორდი წყალზე

**თითქმის ყველა მეტოქეს შემდგომი ბრძოლის უნარი დააკარგვინა სამხრეთაფრიკელმა რონალდ შუმანმა, როცა მონრეალში საწყლოსნო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატზე ბატერფლაით 50 მეტრზე ცურვის ფინალში თავისივე მსოფლიო რეკორდი — 23.01 დაამხო და ფინიშთან ახალ სარეკორდო დროში — 22,96 წამში მივიდა.**

ეს მაშინ, როდესაც ბევრი ფიქრობდა, რომ „ოქროს" მოპოვებისთვის 23.30 წამიც იკმარებდა.



## ყველაზე ძვირფასნი

**ჩოგბურთელი მარია შარაპოვა და მომღერალი ალა პუგაჩოვა ლიდერობენ 50 ყველაზე ძვირფასი რუსეთელი ვარსკვლავის რეიტინგს, რომელიც ჟურნალმა Forbes შეადგინა და მისი რუსული ვარიანტის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდება.**

პირველი ადგილი დაიკავა მარია შარაპოვამ, რომლის წლიური შემოსავალი 18,2 მილიონ დოლარს შეადგენს. ალა პუგაჩოვა მესამე ადგილზეა — 3,1 მილიონი.

ყველაზე მაღალანაზღაურებად კინომსახიობად აღიარებულია ოლეგ მენშიკოვი (1,1 მილიონი). ის რეიტინგის შუაშია, ბოლოში კი ფოტომოდელი ევგენია ვოლოდინაა (1 მილიონი დოლარი).

სიაში შესულნი არიან მწერალი ბორის აკუნინი (ჩხარტიშვილი), ფეხბურთელი ალექსი სმერტინი, მომღერალი ანა ნეტრებენკო, ჯამბაზი ვიაჩესლავ პოლუნინი, შოუმენი მაქსიმ გალკინი და სხვ.

მსოფლიო პრესის ფურცლებზე

# დევიდ ბექჰემი: „ჩვენს სიყვარულს არავის დავანგრევინებ"

**ბოლო რამდენიმე თვე დევიდ და ვიქტორია ბექჰემებისთვის მძიმე გამოდგა. რთული მშობიარობის შემდეგ მომღერლის გაჭიანურებული ადაპტაცია მადრიდში, ცოლქმრული ჩხუბი... და როგორც ყოველივე ამის აპოთეოზი: ბექჰემების ოჯახური ცხოვრების შესახებ მათი ბავშვების ყოფილი ძიძის — ები გიბსონის ბრიტანულ გაზეთში გამოქვეყნებული შემაცბუნებელი „გულახდილობა".**

**აი, რას მოგვითხრობს ყოველივე ამაზე რუსული ჟურნალი „7 დნეი".**



ვიქტორიას ძალზე არ უნდოდა მგზნებარედ ნაყვარები ლონდონიდან უცნობ მადრიდში გადასვლა. ესპანეთში მისთვის უცხო იყო აბსოლუტურად ყველაფერი: ადამიანები, სამზარეულო, კლიმატი, აწუხებდა უმეგობრებოდ ყოფნაც. მაგრამ დევიდმა ფეხბურთის კლუბ „რეალთან" ძალზე ხელსაყრელ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ვიქტორიას სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა. რამდენადაც შეეძლო, აჭიანურებდა გადასვლას. ქმარი ამის გამო ბრაზობდა და ნერვიულობდა. ის ისედაც ბოლო ხანებში ლონდონსა და მადრიდს შორის იყო გამოკიდული. როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ინგლისისკენ მიეშურებოდა. ფეხბურთელის ნერვებს კი მოფრთხილება სჭირდება — ვაითუ, ცუდად ითამაშოს!

შემოდგომის ბოლოს მესამე ბავშვზე ფეხმძიმე ვიქტორია ვაჟიშვილებთან — 5 წლის ბრუკლინთან და 2 წლის რომეოსთან ერთად ბოლოს და ბოლოს მადრიდში გადაბარგდა. ბიჭებს ესპანეთში მაშინვე ყველაფერი მოეწონათ. მით უმეტეს, რომ გვერდით ჰყავდათ მამა, რომელსაც ორივე პირდაპირ აღმერთებდა. ბრუკლინმა და რომეომ ძალზე სწრაფად გამოძებნეს ახალი მეგობრები. ბიჭებმა თვითონ მოითხოვეს იმავე საბავშვო ბაღში მიბარება, სადაც დადიოდნენ დევიდის ბევრი თანაკლუბელის ნორჩი შთამომავლები. ასე რომ, ორივემ ძალზე მალე დაიწყო ესპანურად მკვირცხლად ლაპარაკი.

ვიქტორიას კი ამ მხრივ საქმე მაინც და მაინც კარგად ვერ მისდიოდა. ესპანურს დიდი გაჭირვებით ეუფლებოდა, რაც აძნელებდა ფეხბურთელების ცოლებთან და დაქალებთან ურთიერთობას. ვიქტორია ძალზე ნაღვლობდა მშობლებსა და ლუიზაზე, რომლებიც ინგლისში დარჩნენ და იშვიათად სტუმრობდნენ მასთან.

სიხარულს როდი მატებდა ექიმების მიერ დანიშნული საკეისროს მოახლოებული პერსპექტივა. თანაც ესპანური პრესა ისე იყო აჭრელებული ბექჰემის მუდმივ ღალატზე ქარაგმული ნათქვამებით. ვიქტორიას მეხსიერებაში ჯერ ხომ ისევ ცოცხლობდა ნახევარი წლის წინათ განცდილი. მაშინ დევიდს ბრალად დასდეს, თანაც არცთუ უსაფუძვლოდ, პირადი ასისტენტით — რებეკა ლუსით დაინტერესებაში. მაგრამ ბექჰემი ცოლს ეფიცებოდა სამარადისო სიყვარულში, საჯაროდ უარყოფდა თავის კავშირს ქალიშვილთან და სკანდალიც მიჩუმათდა. თუმცა ვიქტორიას სულში ნალექი დატოვა.

შობისთვის ფეხბურთელმა ლამაზმან ცოლს მეფური საჩუქარი მიართვა — გულის ფორმის 15-კარატიანი ბრილიანტით მოოჭვილი ბეჭედი დევიდს მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. წლეულს, 20 თებერვალს კი თავად ვიქტორიამ გაუკეთა ქმარს საპასუხო ფასდაუდებელი საჩუქარი — ბექჰემი სამგზის მამა გახდა. მესამე ვაჟიშვილს ბედნიერმა მშობლებმა სახელად კრუსი დაარქვეს. ჟურნალისტებს კი აცნობეს, რომ მშობიარობამ ნორმალურად ჩაიარა და ვიქტორია თავს კარგად გრძნობს. სინამდვილეში მომღერალმა ქალმა ბევრი სისხლი დაკარგა და ორი დღე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაატარა. მაგრამ ცუდი ამბების გახმაურება ბექჰემებს არ სჩვევიათ. ასე რომ, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა.

სხვათა შორის, თუმცა მეუღლეები დუმილს ამჯობინებენ თავიანთ პირად ცხოვრებაზე, მაინც რომელიღაცას რაღაც წამოსცდება ხოლმე. თავად ფეხბურთელის აღიარებით, კრუსის დაბადებით ცოლთან მისი ურთიერთობა თანდათან გაუმჯობესდა. თითქოსდა ვიქტორიას ნერვიულობა გაუქრა, ის გაცილებით დამშვიდდა, შეწყდა კინკლაობა. ამას გარდა, თავისი ახლო მეგობრის ლიზ ჰიორლის დიეტის წყალობით ვიქტორიამ მშობიარობის შემდეგ სწრაფად აღიდგინა ფორმა, ადრინდელ ზომებს დაუბრუნდა. გარეგნული სახე ხომ მუდამ აღელვებდა მომღერალს და ფიგურის სწრაფ გარდაქმნას არ შეიძლებოდა, ის არ გაეხარებინა.



აპრილში ვიქტორიას 31-ე დაბადების დღეზე ქმარმა მას დაუვიწყარი რომანტიული უიკ-ენდი მოუწყო პარიზში. ფეშენებელურ ოტელში „რიტც" დევიდმა დაიქირავა ერთ-ერთი საუკეთესო ნომერთაგანი, დღე-ღამეში 3500 ევრო რომ ღირდა. თითქოსდა შემთხვევით ბექჰემმა ცოლი საიუველირო მაღაზიაში შეიყვანა. იქიდან კი ქალი გამოვიდა ბრწყინვალე ბრილიანტის კოლიეთი დამშვენებული. ვარსკვლავთ წყვილის ურთიერთობა კვლავ ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის კალაპოტს უბრუნდებოდა.

ამ ფონზე, როცა ყველაფერი, როგორც ჩანდა, გვარდებოდა, ები გიბსონის — ბექჰემების ბავშვების ყოფილი ძიძის — „გულახდილობამ" ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა.

ქალიშვილი დიასახლისთან ჩხუბის შემდეგ თვითონ წავიდა, მაგრამ ცოლქმარზე საშინელი წყენა გაიყოლია. ბრიტანულ გაზეთთან ინტერვიუში, მან ბექჰემზე მთელი გობი ტალახი გადმოაქცია. ების თქმით, შობის წინ ბექჰემმა კინაღამ ვიქტორია მიატოვა. თითქოსდა, ფეხმძიმობის მეშვიდე თვეში მყოფი მომღერალი ქალი დაჩოქილი ევედრებოდა ქმარს, მშობიარობამდე არ მიეტოვებინა. გიბსონის სიტყვებით, დიდი ჩხუბი მათ შორის ადრეც ყოფილა, თანაც საქმე ცემა-ტყეპამდეც კი მისულა. ყოველივე ეს კი ებიმ იმით დაამთავრა, რომ ფეხბურთელი დაადანაშაულა კოსმეტოლოგ დანიელა ჰიტთან ურთიერთობაში და რებეკა ლუსიც გაახსენა.

დევიდი და ვიქტორია, რასაკვირველია, მიეჩვივნენ პრესაში გამოხტომებს, მაგრამ, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ცოლ-ქმარი შეტევაზე გადავიდა: „მე უფლებას არ მივცემ ქალს, დაანგრიოს ჩვენი სიყვარული და ძირი გამოუთხაროს ურთიერთნდობას", — თქვა დევიდმა. „ჩვენ ები სახლში შემოვუშვით, ის ჩვენთან ცხოვრობდა, ბავშვებს უვლიდა, მას ოჯახის წევრივით ვეპყრობოდით, პასუხად კი აი, რა მოვიღეთ", — ქმარს მხარს უჭერდა ვიქტორია. თავად გაზეთთან სასამართლო დავა გრძელდება და ბექჰემები აპირებენ ჟურნალისტების სერიოზულად დასჯას.

არ ვიცით, ყოფილი ძიძის ნათქვამში ბევრი სიმართლე იყო თუ სულ პირიქით, მაგრამ, რაც გასაოცარია, ამ სკანდალურმა ისტორიამ ნამდვილად შეაკავშირა მეუღლეები. წარსულს ჩაბარდა ჩხუბი და წყენა. მოწესრიგდა ესპანეთში ვიქტორიას ცხოვრებაც. ის შეეჩვია სამხრეთის ჰავას, თანდათან ეუფლება ესპანურსაც, მუშაობს Rock&Republic მარკის ტანსაცმლის შექმნაზე, შორს არ არის ის დღეც, როდესაც მომღერალი სცენას დაუბრუნდება.

ამას წინათ კი ბექჰემებმა ბიჭები ბებიებსა და პაპებს დაუტოვეს და ერთი კვირით სენ-ტროპესაკენ გაეშურნენ. „ჩვენ მეორე თაფლობის თვე გვაქვს. მე მიყვარს ჩემი ცოლი და ყველაფერი სრულ წესრიგშია", — განუცხადა დევიდმა ჟურნალისტებს.



**სურათზე: აი, ისიც — ბექჰემების ოჯახი; სამარადისოდ შეყვარებულები; დევიდი უფროს ვაჟიშვილთან — ბრუკლინთან ერთად.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სენაკის (ყოფილი ცხაკაიას) რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმთა ერთი ჯგუფი ავადმყოფთან პალატაში.
დგანან, მარცხნიდან მარჯვნივ: ოთარ მატკავა, გივი ღვინჯილია, დიმიტრი პატარაია, თამარ სიჭინავა, ავთანდილ ქადარია.
1970 წელი.

სურათი მოგვაწოდა ზურაბ პატარაიამ.

## გვემრავლოს!

### ექიმებმა გადამირჩინეს

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



**ჩემმ ქალიშვილს რუსუდანს რთული ფეხმძიმობის შემდეგ აუტანელი ტკივილები დაეწყო და სასწრაფოდ სამშობიარო სახლში მივიყვანეთ. ექიმები კარგა ხანს მსჯელობდნენ საკეისრო კვეთით ამოეყვანათ ჩვილი თუ ცოტაც მოეცადათ.** მომლოდინეთ წუთები საუკუნეებად გვეჩვენებოდა და ერთმანეთს უმწეოდ მივჩერებოდით. ღელვა-წრიალში ხუთი საათი გასულიყო და ამ ხნის განმავლობაში ექიმები განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდნენ მშობიარეს. და აი ჩვენმა პაწია ქალბატონმაც დაბადება ინება. მას მშობლებმა შორენა დაარქვეს.

უბედნიერესი ადამიანი ვარ, შვილიც გადამირჩა და შვილიშვილიც, ჩემი შვილის დედობას და პირველ შვილიშვილს ხომ ოცნებით ველოდი. დიდი მადლობა ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის მედპერსონალს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს დედა-შვილის გადარჩენისთვის.

დიდი მადლობა აგრეთვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის.

პირველ შვილს ვულოცავ ჩემს რუსუდანს და სიძეს გაგა გელაშვილს, სიხარული და ბედნიერება ნუ მოშლოდეთ.

**ანა ვარდუაშვილი.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



**რით** განსხვავდება კარგი პირადი მდივანი ქალი ძალიან კარგისგან?

— კარგი პირადი მდივანი გეუბნება: „დილა მშვიდობისა, შეფ!", ძალიან კარგი კი — „უკვე დილაა, შეფ!"

* * *

— **მძიმედ** დატვირთული აქოშინებული ცოლ-ქმარი რკინიგზის სადგურში შერბის.

— ეჰ, სამწუხაროა, რომ პიანინოც არ წამოვიღეთ, — ამოიხვნეშებს ქმარი.

— ნუ მახვილსიტყვაობ, არ გამოგდის.

— ვმახვილსიტყვაობ კი არა, იმ პიანინოზე ბილეთები დამრჩა!

* * *

**მსოფლიოს** მოსახლეობის ცხრა მეათედი დარწმუნებულია, რომ ამერიკა კოლუმბმა აღმოაჩინა. ერთი მეათედი მის აღმომჩენებად ვიკინგებს მიიჩნევს და არავის მოსდის თავში აზრად, რომ იმ მიწაზე პირველად ფეხი ინდიელებმა დაადგეს.

* * *

**საინტერესო** ოჯახია ეს გაიდარები: ბაბუა აშენებდა, შვილი იცავდა, შვილიშვილი კი ანგრევდა ერთსა და იმავე ქვეყანას.

* * *

**ქმარმა** გადაწყვიტა, მოულოდნელად დადგომოდა თავს მივლინებაში მყოფ ცოლს. მაშინვე შეძვრნენ საწოლში. დაუოკებელი ალერსი, ხვნეშა, კვნესა-კრუსუნი... კედლის მიღმა კი ბრაზიანი ხმა ისმის:

— არ შეგიძლიათ ცოტა ადამიანური და ჩუმი სექსი? უკვე მეხუთე ღამეა, თქვენს გამო ვერ დაგვიძინია!

* * *

**მთამსვლელი** ის კი არ არის, ვინც მწვერვალს მიაღწევს, არამედ ის, ვინც იქიდან დაბრუნდება.

* * *

**ცუდის** ნიშანია, როდესაც დანა ტყდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ნეკნებს შუა ტყდება.

## შეუცნობელი

# ჩვენ ყველანი ტელეპათები ვართ

**ჩვენი ვერტმფრენი ალალბედზე მიფრინავდა, იქ, სადაც ამის საშუალებას ამინდი იძლეოდა, — ჩრდილოეთში სხვაგვარად შეუძლებელია.**

მეირმეთა სადგომში, სადაც ჩვენ დავეშვით, მწყემსები დაგვხვდნენ. მათ აქ ასობით კვადრატული მეტრი ფართობის უზარმაზარი ტერიტორიიდან მოეყარათ თავი. „რატომ არის ამდენი ხალხი? — გაკვირვებულები ვკითხულობდით ჩვენ. — ჩვენ ხომ ამ ვიზიტის შესახებ არავინ გაგვიფრთხილებია?" ახსნა ნოვოსიბირსკში, კოსმოსური ანთროპოეკოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტში მივიღეთ, რომლის დირექტორი პროფესორი ალექსანდრე ტროფიმოვი თავის კოლეგებთან ერთად მრავალი წელია აზრების უსიტყვოდ გაცვლა-გამოცვლის ფენომენს შეისწავლის.



**ოფიციალური მეცნიერება დღემდე ვერ ბედავს ტელეპათიის — აზრების მანძილზე გადაცემის აღიარებას. ამასობაში მისი არსებობა მრავალგზის დაამტკიცა ასობით მეცნიერმა, მათ შორის ნოვოსიბირსკში არსებულმა მთელმა ინსტიტუტმა.**

რამდენიმე წლის წინათ ნოვოსიბირსკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს ექსპერიმენტულად შეემოწმებინათ ტელეპათიის არსებობა. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა: ინდივიდუუმის მიერ სხვა ადამიანებისგან წამოსული უხილავი, მყისიერად გავრცელებული სიგნალების აღქმა დამოკიდებულია მზისა და დედამიწის გამოსხივებაზე. ყველაზე ძლიერი ეს ეფექტი სოფელ ადგილზე, ხისა და აგურის შენობებშია ხოლმე (რკინაბეტონი წინააღმდეგობებს ქმნის).

ერთმანეთის აზრების წაკითხვის ყველაზე ძლიერი უნარი 73,4 გრადუსის პარალელის ჩრდილოეთის მდებარე რაიონების მცხოვრებლებს აქვთ, რუსეთის ტერიტორიაზე ეს ტაიმირის ნახევარკუნძულია. აი რატომ იყრიან თავს ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებების გარეშე საჭირო დროს და საჭირო ადგილზე ნენცები, ევენკები, ჩუქჩები და იმიერპოლარეთის სხვა მკვიდრი ხალხების წარმომადგენლები. გამოდის, რომ იქ ყველა ადამიანს შეუძლია თანამოძმეებს აზრები გადასცეს ისე, თითქოს რადიოში გამოდიოდეს. თუმცა, ტრანსლაციისთვის შესაფერის დროის შერჩევასაც აქვს მნიშვნელობა. როდესაც მზის ენერგიის ნაკადი მცირდება, ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ხარისხი იზრდება.

აკადემიკოს ვლაილ კაზნაჩეევის აზრით (სწორედ მისი შექმნილია ნოვოსიბირსკის ინსტიტუტი), ძველად აზრების უსიტყვოდ გადაცემის უნარი ყველა ჩვენს წინაპარს ჰქონდა. „ადამიანებამდელთა" თანამეგობრობისთვის ის აზრითი „ენა", რომელიც ჩვენ დღეს უნიკალურად მიგვაჩნია, ბუნებრივი და ერთადერთი შესაძლებელი იყო. ამიტომაც უძველეს ადამიანებს ნებისმიერ მანძილზე შეეძლოთ ურთიერთობა. როგორც აღმოჩნდა, ამის გაკეთება თანამედროვე ადამიანსაც შეეძლო. რაც დაამკვიდრა ექსპერიმენტმა, რომელიც სპეციალურად შერჩეულ, ტელეპათიისთვის მაქსიმალურად შერჩეულ დღეს ერთდროულად ტარდებოდა ნოვოსიბირსკსა და ბელგრადში.

ეს იყო, გიორგობისას, მართლმადიდებლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი წმინდანის — გიორგის დღეს. გადამცემ ოპერატორთა ნოვოსიბირსკული ჯგუფი ადგილობრივი ხელოვნების მუზეუმის ძველი რუსული ხელოვნების განყოფილებაში განთავსდა. ბელგრადში მათ გზავნილებს ინფორმაციის მიღების 970 მონაწილე ელოდა. ნოვოსიბირსკელ ოპერატორებს ბელგრადში უნდა გაეგზავნათ აზრითი ბრძანება: დახატეთ ძლევამოსილი გიორგი! ამასთან ექსპერიმენტის მონაწილე ნოვოსიბირსკელები მუზეუმის დარბაზის კედელზე ჩამოკიდულ წმინდანის გამოსახულებიან ხატს უყურებდნენ.

შედეგების შეჯამებისას ექსპერიმენტატორებს თავიდან ჩავარდნის შეგრძნება გაუჩნდათ, ბელგრადში 970 ადამიანიდან სქემები მხოლოდ 85-მა ჩააბარა. მათ ფურცლებზე გამოსახულმა გაურკვეველმა შტრიხებმა და ლაქებმა მეცნიერთა გაწბილება გამოიწვია. მაგრამ როდესაც მონაწილეებმა ფურცლების ხელში ტრიალის შემდეგ მოიფიქრეს და ისინი ერთმანეთს მიუსადაგეს, როგორც საბავშვო სათამაშოთავსატეხის ფრაგმენტები, ფერადი უაზრობისგან ერთბაშად ერთი დიდი გამოსახულება წარმოიქმნა. ცხადია, ეს გიორგი ძლევამოსილის გამოსახულება იყო, ზუსტად ისეთი, როგორიც ნოვოსიბირსკულ ხატზეა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერიმენტის დაახლოებით 50 მონაწილე ბელგრადში „მკვდარ" ზონაში განთავსებულიყო — მათთან გამოსახულებამ დამახინჯებული სახით მიაღწია. სამაგიეროდ, დანარჩენმა 920 ადამიანმა ჩამოაყალიბა ერთიანი ველი, რომელიც სერბეთის პატრიარქის კურთხევით, ერთიანი სულიერი აღმაფრენით „ერთ ტალღაზე" აეწყო.

„АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ".

## დღის კადრი



„ფრთხილად ძმაო, მარცხი არ მოგივიდეს!", — აფრთხილებს ახალზელანდიელ სუმოისტს იაპონელი ტაკაიუკი იჩიჰარა (ფოტოზე მარცხნივ). სპორტის არაოლიმპიური სახეობის მსოფლიო ასპარეზობაზე, რომელიც ამ დღეებში გერმანიაში მიმდინარეობს, იაპონური ორთაბრძოლის ფუძემდებლებს ზოგჯერ ასეთი ხერხით უწევთ მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება.

## ????

### იაპონია – დღეგრძელთა ქვეყანა



**გაზეთმა „ასაჰი სიმბუნმა" მოიყვანა იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, იაპონიის მოქალაქეებმა კიდევ ერთხელ დაამყარეს სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდი.**

როგორც გაირკვა, 2003 წელთან შედარებით, ამომავალი მზის ქვეყანაში მამაკაცების და ქალების საშუალო ასაკი შესაბამისად, 0,26 და 0,28 წლით გაიზარდა. ახლა იაპონელი ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 85,59 წელს შეადგენს, მამაკაცებისა კი — 78,64.

იაპონელი სუსტი სქესის წარმომადგენლები ამ მაჩვენებლის მიხედვით აშკარად ლიდერობენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იაპონელ მამაკაცებზე მეტ ხანს კი ცოცხლობენ მხოლოდ ჩინეთის ჰონკონგის მცხოვრებლები.

### უკრაინაში კვლავ ფეთქდება ჭურვები

**საკურორტო სეზონის პიკ-პერიოდში მოსკოვ-სიმფეროპოლის ავტოსტრადა და ამავე ქალაქების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი მთლიანად ჩაიკეტა რამდენიმე საათით, რადგან ნოვობოგდანოვსკის საარტილერიო საწყობში თვითაალების შედეგად აფეთქდა საკვამლე ნაღმები. სწორედ აქ გაისმოდა 14 თვის წინათ აფეთქებების ხმები მთელი ერთი კვირის მანძილზე.**

ნაღმი, უბრალოდ, გადახურდა, რადგან ზაპოროჟიეს ოლქის მელიტოპოლის რაიონში ჰაერის ტემპერატურა 32 გრადუსზე დაბლა არ ჩამოსულა. ამჯერად აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, დაიჭრა მხოლოდ ერთი ქალი. აფეთქების მახლობლად მდებარე სოფლებიდან საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მაშველებმა გამოხიზნეს 150 გლეხი.



●**მსოფლიოში** ყველაზე პატარა ლუდის ბოთლს აკეთებენ შვეიცარიაში, ციურიხის ახლო მდებარე, პატარა სოფელ ვადენსვაეში. მასში 40 მილილიტრი ლუდია ჩასხმული და 9 ფრანკი ღირს.

●**ყველაზე** დიდი ლუდის ბარი მსოფლიოში გაიხსნა 1938 წელს ავსტრალიაში, მილდიურეს მუშათა კლუბში. მისი სიგრძეა 91 მეტრი და მასზე 27 ლუდის ავტომატია განთავსებული.

●**1983 წლის** 5 ივლისს, ცნობილი მომღერალი პლაჩიდო დომინგო 83-ჯერ გამოიძახეს „ბისზე" და 1 საათი და 30 წუთი არ შეწყვეტილა ტაში. ეს მოხდა ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრში, როდესაც მან მთავარი პარტია შეასრულა პუჩინის ოპერაში „ბოჰემა".

●**ცნობილი** მღერლისა და მუსიკოსის ბრუს სპრინგსტინის ტურნემ, რომელიც მან დაიწყო 1984 წლის აპრილში, მსახიობს 117 მილიონი შემოსავალი მისცა. მან მსოფლიოს 11 ქვეყნის 61 ქალაქში გამართა კონცერტები. დამსწრეთა საერთო რაოდენობა კი იყო 4 767 854 მაყურებელი.

●**ადამიანის** ხმის ყველაზე პირველი ჩანაწერი 1890 წლის 20 სექტემბერს დაფიქსირდა. ეს იყო უნგრეთის ყოფილი გუბერნატორის ლაიოშ კოშუტის სიტყვა, რომელიც ჩაიწერა იტალიის ქალაქ ტორინოში. ამ ჩანაწერმა ჩვენამდეც მოაღწია და იგი ინახება ბუდაპეშტის ჩეხენის ბიბლიოთეკაში.

●**დედამიწაზე** ცხენების რაოდენობა შეადგენს 75 000 000 ერთეულს.

●**ნიუ-იორკის** ზოოლოგიურ პარკში, 1986 წლის 27 სექტემბერს, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა დედალი გორილა კარალინი. ამ ტიპის ცხოველებისათვის, სიცოცხლის ამდენი წლის ხანგრძლივობა, რეკორდულია.

●**1784 წელს** გამოშვებული ერთი ბოთლი თეთრი ღვინო შატო იკემი, 1986 წლის ოთხ დეკემბერს გაიყიდა კრისტის აუქციონზე ლონდონში 39 600 ფუნტ სტერლინგად. იგი შეიძინა იორდანელმა იადუ შიბლაკუმ, რომელსაც ღვინო საერთოდ... არც დაულევია.

●**მსოფლიოში** ყველაზე დიდი ქარვაა „ბირმანიის ქარვა", რომელიც ინახება ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმში. მისი წონაა 15,25 კილოგრამი.

●**მელიებზე** ნადირობა დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებით პოპულარული გახდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თუმცა მას უფრო ადრეულ პერიოდშიც მოიხსენიებდნენ. მანამდე ძირითადად ირმებსა და კურდღლებზე ნადირობდნენ.

●**ექიმ-ფსიქიატრთა** ყველაზე დიდი რაოდენობა აღირიცხება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია 32 000 რეგისტრაციაგავლილ წევრს ითვლიდა. ამერიკის ფსიქოლოგია ასოციაციაში (რომელიც დაარსდა 1892 წელს), 1986 წელს 60 000 წევრი შედიოდა.

## გახსენება

### ჯულიეტა ჩხიკვაძე



რამდენიმე თვეა, რაც ჩვენგან უდროოდ წავიდა დიდად განათლებული, ერუდირებული, სათნო, კეთილი, ლიტერატურის, მუსიკის, ისტორიის საუკეთესო მცოდნე, ლამაზი ჯულიეტა (ჟუკა) ჩხიკვაძე.

ჯულიეტა დაიბადა ქ. ბათუმში ცნობილი ექიმის გიგა ჩხიკვაძის ოჯახში. დედამისი ულამაზესი გარეგნობის აფხაზი ლილი ანუა წლების განმავლობაში სოხუმის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ.

ჯულიეტა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსკოვის ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თბილისის ფარმაკოლოგიისა და შემდგომ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ჯულიეტას უყვარდა სიცოცხლე, განსაკუთრებით მისი 7წლის შვილიშვილი. გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიბადა მისი მეორე შვილიშვილი ალექსი, რომელსაც ვერ მოესწრო. წავიდა ჩვენგან ჩვენი საყვარელი ადამიანი და თან წაიღო ჩვენი დიდი მწუხარება.

ჩვენ, მისი ახლო ნათესავები, შვილი მარინე ქიქოძე, შვილიშვილი იგორ ბოგუში, სიძე ალექსი ბოგუში, ლელიკო ქიქოძე, ნუნუ ქიქოძე, გივი ფანცულაია, რუსიკო და თემურ ფანცულაიები, ლარისა ქიქოძე, ელისო და გია ქიქოძეები, ნუნუ საყვარელიძე, ნინიკო ქიქოძე, ლალი და ბიბი ქიქოძეები, რეზო მხეიძე დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით ვიგონებთ ჯულიეტას, რომელიც ასე მოულოდნელად გამოგვეცალა.

ჯულიეტა, თავისი ანდერძის თანახმად, დაიკრძალა პოლონეთში, ქ. ვარშავაში თავისი დედის გვერდით.

მათ საფლავს უვლიან მისი და გალინა და სიძე, ცნობილი დიპლომატი ვლოდიკ ნატორფი.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მანანა სოტკილავას

მამის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

შალვა კიკნაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანთა მოძრაობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სახელოვანი მამულიშვილი

შალვა კიკნაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## დღის კალენდარი
### 28 ივლისისთვის

| | ☼ | ) |
|---|---|---|
| ამოდის | 04.49 | 23.11 |
| ჩადის | 19.23 | 12.59 |

**წლის 209-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 156 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება მოწამეთა კვირიკესი და დედისა მისისი ივლიტასი (დაახლ. 305); მოწამე აბუდიმესი (IV); მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა — წმიდა ნათლისღებით ბასილისა (1015).**

**დაიბადნენ:**

**1456 — ჯაკოპო სანაზარო,** იტალიელი მწერალი და პოეტი. გარდაიცვალა 1512 წელს.
**1806 — ალექსანდრ ივანოვი,** გამოჩენილი რუსი ფერმწერი. გარდაიცვალა 1858 წელს.
**1927 — გრიგოლ გიორგაძე**, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**1929 — ჟაკლინ კენედი,** პრეზიდენტ კენედის ქვრივი. გარდაიცვალა 1994 წელს.
**1945 — თამაზ ვარვარიძე,** მხატვარი.
**1947 — არნოლდ შვარცენეგერი,** ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი.
**1954 — თამაზ იმნაიშვილი**, სპორტსმენი, საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი.

**გარდაიცვალნენ:**

**1741 — ანტონიო ვივალდი,** იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და პედაგოგი.
**1750 — იოჰან სებასტიან ბახი,** XVIII საუკუნის უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი.
**1794 — მაქსიმილიან რობესპიერი,** საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი; სიკვდილით დასაჯეს.
**1968 — ოტო ჰანი,** გერმანელი რადიოქიმიკოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1994 — აკაკი თელია**, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული ქირურგი, საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის გამგე.

**მოვლენები:**

**1586 წელი** — ევროპაში პირველად ჩაიტანეს კარტოფილი.
**1742 წელი** — პრუსიამ და ავსტრიამ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.
**1821 წელი** — პერუმ დამოუკიდებლობა მიიღო.
**1858 წელი** — იდენტიფიკაციისთვის პირველად გამოიყენეს თითის ანაბეჭდი.
**1858 წელი** — დედამიწის პირველი სურათი გადაიღეს დირიჟაბლიდან.
**1896 წელი** — ფლორიდაში ქალაქი მაიამი დაარსდა.
**1914 წელი** — გარი ფოკსმა ახალი ცეკვა — ფოკსტროტი გამოიგონა.
**1980 წელი** — პერუმ მიიღო კონსტიტუცია.

**მედიანიუსი**

## ლარის კურსი

**28 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1370 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8079 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1675 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0629 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3852 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4043 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6158 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 28 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $37^0$ | $22^0$ |
| ბათუმი | $35^0$ | $22^0$ |
| სოხუმი | $32^0$ | $21^0$ |
| ქუთაისი | $31^0$ | $23^0$ |
| თელავი | $36^0$ | $21^0$ |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK